შობა-ახალ წელს გილოცავთ! იხარეთ, გამრავლდით, მრავალჟამიერ!

"მე შენ მიყვარდი, შენ მნამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 12 (289) 26 დეკემბერი ხუთშაბათი, 2019 წელი; ფასი 1 ლ.

## საქართველო ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა გახდა. გილოცავთ!

ღმერთო, ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი! აარიდე შური, მტრობა, გაუტანლობა..

რაც ღმერთმა დაუნერგავს, სიყვარული უშრეტია



მრავალ ახალ წელს მამულო

კალთას გიკოცნი

ფრთხილად,

ბალღის სიცილში გათენდეს

შენი ყოველი დილა.

,,25 დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო"

და ე, იშვას იგი თოთოეული ქართველის გულში.



და ე, იყოს ეს წელი სიმდიდრისა და წედნიერების მომტანი, რათა ხალხმა უპატრონოს ქვეყანას და გაჭირვების გამო საზღვარგარეთ არ გადაიხვეწოს






### საქართველოს პოლიტიკური აკვარიუმი

დემოკრატიის პარადოქსები

ოპოზიცია ,,ნაცმოძრაობის" მოსაცილებლად უნდა იბრძოლეს და არა გვერდში ედგეს მას რევანშისათვის...

მე-2გვ



### 14 დეკემბერს ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა საქართველოს ევროსაბჭოს თავმჯდომარედ არჩევა

### გვახსოვდეს დიდი ილიას შეგონება:

რა არის ქართველობა, რა არის ჩვენი იდენტურობის და ძლიერების ნიშანი და კრიტერიუმი?
გონება მაშინვე მოგვაწვდის გამზადებულ, ბავშვობიდანვე ჩანერგილ პასუხს:
,,ენა, მამული, სარწმუნოება".
ამ ლოზუნგით მოვდივართ მას შემდეგ, რაც ეს ილიამ წარმოთქვა და ალბათ, მანამდეც...

### ფოთელები თევზის სუნმა მწყობრიდან გამოიყვანა- ქალაქის შემოსასვლელი გადაკეტეს...



სუფთა ჰაერსაც
ნუ გავუხდით ხადხს
სანატრელს

ეს პრობლემა წლებია აწუხებს ფოთელებს. ერთ დროს დაიწყეს თევზის გადამამუშავებელ საწარმოებში შესაბამისი ფილტრების დაყენება, მაგრამ არ აღმოჩნდა საკმარისი. ბოლო პერიოდში აუტანელი გახდა ქაფშიის მყრალი სუნი, იმდენად, რომ ბევრი საავადმყოფოში გახდა გადასაყვანი, მათ შორის ბავშვები. ასეთი წარმოება რაც არ უნდა მომგებიანი იყოს, თუნდაც ქალაქისთვის, ან უნდა დაიხუროს, ან განახლებას დაექვემდებაროს.

### გიორგი გახარიამ - ფოთში საზღვაო აკადემიის სარესტავრაციო შენობა დაათვალიერა

მე-2გვ





### გვახსოვდეს დედა ისტორია- ფრიქსე და ჰელე

(იბერიული რასის შთამომავლები)

მე-6გვ

### სსიპ კოლეჯი "ფაზისი"-ს ახალი რეალიები

მე-5 გვ



# საქართველოს პოლიტიკური აკვარიუმი

## დემოკრატიის პარადოქსები

### ოპოზიცია ,,ნაცმოძრაობის" მოსაცილებლად უნდა იბრძოდეს და არა გვერდით ედგეს მას რევანშისათვის...



პოლიტიკური ბატალიები გრძელდება, მთავარი ორიენტირია ხელისუფლება და არა ქვეყანა და მისი მომავალი. ,,ოცნება" ყველაფერს აკეთებს,რათა ისევ დარჩეს ხელისუფლებაში. ,,ნაციონალები" ოპოზიციაში. თუმცა, ეს უკანასკნელი ვაბანკ მიდის რათა ისევ დაბრუნდეს, მაგრამ ვერ ხვდება რომ,ქართველი ხალხი ამას არ დაუშვებს. საფიქრალი ისაა ვინაა მათი ამომრჩეველი, ამ ნეოფაშისტური პარტიის აღორძინებაზე და პირად კეთილდღეობაზე რომ ფიქრობს. თუმცა სამწუხაროდ არათუ რიგითი ამომრჩეველი ,,დიდი" პოლიტიკოსებიც ამ ჭკუაზე არიან. ოღონდ ხელისუფლებაში მოხვდნენ,არადა,ჯორჯ ვაშინგტონმა თქვა უარი მეორედ არჩევაზე-თქვენ კი ასეთი რა გააკეთეთ, რომ არ ისვენებთ. ან სანამ იქნება ,,ნაცები" ათვლისა თუ შედარების წერტილი. თქვენს კინკლაობას ქვეყანა ხომ არ უნდა გადაყვეს. სამწუხაროდ,არ ჩანს მესამე ძალა. ვითომ ერთიანი ოპოზიცია მხოლოდ პარტიული კონგლომერატია-ხალხის გაჭირვებით რომ მანიპულირებენ. და ბიუჯეტი აფინანსებთ, როგორც დემოკრატიულ ბუტაფორიას. 30 წლიანი დემოკრატიის შედეგიც სავალალოა, სოციალური უთანასწორობის უკიდურესად გაღრმავება - ძალიან მდიდრები და ძალიან ღარიბები-პოტენციური მათხოვრები. ხელისუფლებები ერთმანეთს გვანან ქვეყნის ქონების დაპატრონებით, კომფორმიზმით, კორუფციით, ნეპოტიზმით და ტყუილი დაპირებებით. ოცნებას თუნდაც ბოლო დანაპირები არჩევნებთან დაკავშირებით რომ შეესრულებინა, არ იქნებოდა ასეთი პოლიტიკური ბახკანალია. ქვეყანა პოლიტიკურ დუღიულშია ცალკეა ხალხი, ცალკე-პოლიტიკა, არ არის ერთიანი მიზანი,ერთიანი სახელმწიფო იდეოლოგიური პლატფორმა. შორეულ პერსპექტივად იქცა ნატო და ევროკავშირი, ისე როგორც კომუნისტების დროს-შორეული მიზანი. სხვათაშორის, ევროკავშირს ტოვებენ ძლიერი ქვეყნები. ნატოში კი ერთმანეთს უპირისპირდებიან, ჩვენთვის ერთიც საჭიროა და მეორეც, მაგრამ პირველ რიგში თავად უნდა უპატრონო ქვეყანას,რა გახდა სამი-ოთხი მილიონი ადამიანის პატრონობა. გამოდის ვერც ჩვენი და ვერც სხვისი შეცდომებიდან ვერაფერი ვისწავლეთ. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა 2 მილიონ სამუშაო ადგილს აქ ვერ შევქმნითო. პარადოქსია მართლაც სამ მილიონიან ქვეყანაში ორი მილიონი უმუშევარი. ეს 30 წელი რას ვაკეთებდით? თუნდაც ბოლო 7 წელი. ან ვინ გაძალებდათ ამდენ დაპირებებს, სააკაშვილს ისედაც ჩამოაგდებდა გამწარებული ხალხი. თქვენ კიდევ 30-40%-ზე მეტს არ ელოდით,თუმცა არც იმის უთქმელობა არ ივარგებს, მილიარდები რომ დაახარჯეთ ქვეყანას. ამდენი ყველა ქველმოქმედს ყველა დროში ერთად არ გაუკეთებია,მაგრამ ხედავთ როგორ შემოგიბრუნდათ ამდენი სიკეთე. ჯერკიდევ როდის გწერდით ამათგან პარტიას ვერ შექმნითთქვა, სცადეთ და მიატოვეთ. არც მათგან დარჩება რამე და ვინ იცის რა დატრიალდება. სამწუხარო ისაა, ვინც გულით იბრძოდა, ვინც თავი გადადო - არავის გახსენებია. ,,ნაცები" კი ყველგან მოკალათდნენ და ბევრია ისეთი ვინც პარტიიდან პარტიაში რომ გადადის.

სოციალური უთანასწორობა დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ართმევს ადამიანებს.პატრიოტიზმი მხოლოდ მთა-გორების სიყვარული არაა, ის, პირველ რიგში ადამიანია. როგორც სამშობლოს ნაწილი და სამშობლოს პატრონი. სამწუხაროდ, ასეთი პატრონი იძულებული გახდა დაეტოვებინა აქაურობა და წასულიყო საზღვარგარეთ დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოდან. სადაც გრძელდება პოლიტიკური ვაჭრობა და არავინ იცის საით მიაქანებს ქვეყანას პოლიტიკური აისბერგი. საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ სახელმწიფო მართველობის სისტემები უნდა ჩამოყალიბდეს და სახელისუფლებო ცვლილებებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. ნაცების დროს, გადაგვარებული სასამართლო-პოლიციური სტრუქტურები იცავდა ხელისუფლებას და არა ხალხს. და პარადოქსია ისიც, რომ ამ მოსამართლეებს უვადოდ ამწესებს ,,ოცნება". ,,ნაცები" კი პროტესტ უცხადებენ მათ. 30 წელია საარჩევნო სისტემის რეფორმაზე მიდის დავა. და თუ ასე გაგრძელდა შესაძლოა ამომრჩეველიც აღარ შეგვრჩეს. პარადოქსია ისიც, არჩევამდე ხალხს უსმენენ თითქოს, არჩევის შემდეგ არაფერს ეკითხებიან.

სახელმწიფო მშენებლობისათვის უნდა შემუშავებულიყო მეცნიერული პროგრამა ყველა პარამეტრით. შეიცვალა სოციალური წყობა, რაც არ უკითხავთ ხალხისთვის. ხალხის ქონებას ერთეულები დაეპატრონენ. ასეთმა ველურმა კაპიტალისტურმა წყობამ კიდევ უფრო გაალარიბა ადამიანები. ცხადია სახელმწიფო ასე ჰარი-ჰარად არ აშენდება, როცა არაა სისტემა ეკონომიკის, განათლების, კულტურის და უშიშროების დარგში. ჩვენთან სახელმწიფომ დაკარგა ადამიანი, და ადამიანმა რწმენა და იმედი სახელმწიფოსადმი. ბევრ ქვეყანაში სოციალიზმიც ყვავის და კაპიტალიზმიც. მაშ რაშია საქმე? ვერ უზრუნველვყავით სამართლიანი სახელმწიფოს მშენებლობა, კანონის უზენაესობა და კონსტიტუცია უბის წიგნაკად გაიხადა ,,ნაცების" ლიდერმა. სამწუხაროდ, მთელი ქვეყანა ორადაა გაყოფილი, პოლიტიკური, რელიგიური და სხვა თვალსაზრისით. ერთი რუსეთისკენ იხედება, მეორე - ამერიკისკენ, სად არის აქ დამოუკიდებელი ქვეყანა, რატომ უნდა ერეოდნენ სხვები შენს საქმეში. ასეთი დემოკრატიით ხომ დიქტატურა მივიღეთ.

განათლების სისტემა ცდების პირად აქციეს, არ ვიცით როგორი თაობა უნდა გავზარდოთ. ცხოვრება გახდა ყველაზე დიდი მასწავლებელი - როცა უღირსები კარგად ცხოვრობენ ღირსეული ადამიანები შიმშილის ზღვარზე არიან. ეს ტრგედიაა, ინგრევა ოჯახები, ინგრევა ახალგაზრდების ფსიქიკა, ძალადობამ და ნარკომანიამ წალეკა ქვეყანა. და, აი, შედეგი- დავკარგეთ 15 წლის ბიჭი, რომელიც აუხირდა ცხოვრებას და ტყვია ესროლა. სკოლამ და სამართალდამცველებმა არ აპატიეს დედის ხსენება,არადა,გვარამია ტელე გადაცემებს ივანიშვილის გინებით იწყებს სახალხოდ, მთელი ქვეყნის გასაგონად. ის რატომ არ დაკითხა პოლიციუამ? სხვათაშორის, პარადოქსია, ისიც, რომ ამერიკაში ბავშვები პოლიციელებს გიტარებს ჩუქნიან საახალწლოდ, ჩვენთან კი პირიქითაა, ბავშვი შეიწირა პოლიციამ. პოლიციური სისტემა ძველი მეთოდებიდან უნდა განთავისუფლდეს-ტერორი, შანტაჟი, შიში-ნარკოტიკების და იარაღის ჩედება და ა.შ..

პოლიტიუკური მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით ვითარდება. და ერთი მეორეს ფარავს. ეკლესიის მოვლენები საპარლამენტო ციანიდმა გადაფარა. აქაც გაიმეტეს ერთმანეთი. მიდის პოლიტიკური ბრძოლა უბინძურესი მეთოდებით. პოლიტიკური ცხოვრება მოწყდა რეალობას და ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა. უნდა დადგეს ის დრო, როცა ხელისუფლებას არ ექნება მუდმივობის განცდა. თანამდებობებს ერთი კაცი არ უნდა არიგებდეს,უნდა დამთავრდეს არაფორმალური მართველობა და ერთპარტიულობა. ხალხს უნდა მიეცეს არჩევანის საშუალება. ხალგაზრდული პოლიტიკური ველი უნდა იქცეს მესამე ძალად.როგორც სამართლიანი, პირდაპირი, რომელიც იბრძოლებს ქვეყნის კეთილდღეობისათვის და არა პირადი ინტერესებისათვის.

ჩვენ გვჭირდება ნამდვილი ოპოზიცია, რომლის სამართლიანი კრიტიკა დაეხმარება მმართველ ძალას გამოასწოროს შეცდომები და არ ჩაუსაფრდეს. ასეთ დაუნდობელ ბრძოლას, მტრობას შეიძლება მოყვეს სავალალო შედეგები. როგორც ბოლო მოვლენებმა აჩვენა ამომრჩევლებიც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და ქართულ დემოკრატიაში გაჩნდა ახალი ტერმინი ,,ამომრჩეველთა ომი". ის რომ ორადაა გაყოფილი საქართველო ამაზე მიუთითებდა ევროსაბჭოს თავმჯდომარეობისადმი მიძღვნილი ზეიმი, სადაც ყველა პარტია და ამომრჩეველი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. პარადოქსია ისიც, რომ ვინც ყოველგვარ ეროვნულს და ქრისტიანობას ებრძოდა, დღეს ეროვნულ დაუმორჩილებლობას აცხადებს. ,,ნაცების" გვერდით დგანან ყველა ოპოზიციური წარმომადგენლები. ბევრს კიდევ მიაჩნია, რომ სააკაშვილს იქეთ ქვეყანას გზა არა აქვს. ესეც ჩვენი პოლიტიკური აზროვნების პარადოქსია, კრახია. ასეთმა ადამიანებმა თავის დროზე გაიმეტეს ზვიად გამსახურდია. და ივანიშვილს რატომ დაინდობდნენ, მით უფრო ფული შემოიელიათ. აკი გუბაზხსანიკიძეც მილიონზე ოცნებობდა. პირველი პრეზიდენტი ვახსენეთ და რაოდენ გულსატკენია, რომ სასიკვდილოდ გაიმეტეს მისი ვაჟიშვილი და ბევრი კითხვის ნიშანია ამ თავდასხმის გამო.

პარადოქსია ისიც, რომ ამერიკელები საქართველოს ხელისუფლებას აკრიტიკებენ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გამო, როცა თავად ამ სისტემით ირჩევენ ხელისუფლებას. მაგრამ, აქ უბედურება ისაა, რომ მათ ისევ ,,ნაციონალების" გაყვანა უნდათ. ქვეყნის მომავალი მათ უკავშირდებათ. ივანიშვილს კი საბანკო ანგარიშების გაყინვით ემუქრებიან. აი, კიდევ ერთი ნამოქმედარი ამ მართლაც მოუცილებელი ჭირისა.

ახლა ყველაფერი ამომრჩეველზეა დამოკიდებული. ისევ თავს მოახვევს თუა არ ქვეყანას დემოკრატიულ დიქტატურას. გაუხსნის თუ არა გზას ახალ ძალებს, პატრიოტებს, პროფესიონალებს და არა ვითომ პოლიტიკოსებს, 30 ვ ერცხლად რომ გაყიდეს ქვეყანა და მისი ღირსება.

სხვა შემთხვევაში არაგვცდება რევოლუციები და ისევ ქუჩიდან მოსული ხალხი. პარადოქსია ისიც, რომ ,,ნაცები" თავიანთ ნაუბედურალს თავსი სასარგებლოდ იყენებენ. გაჩნდა ტოლობა, მიშა თუ ბიძინა.

პარადოქსია არა??

,,ოცნების" მთავარი ამოცანაა დადგეს ხალხის გვერდით, უნდა გავუფრთხილდეთ საარჩევნო ხმებს. არააქვს მნიშვნელოვბა რა სისტემით ჩატარდება არჩევნები, მთავრია ამომრჩევლის ნდობა და განწყობა. არ უნდა დავუშვათ ისეთი შეცდომა, რომელიც არასდროს არ გამოსწორდება.

საქართველო ახალი პოლიტიკური გაზაფხულის მოლოდინშია, ჩვენ დემოკრატიის დიდი გაკვეთილები გვაქვს, ქვეყანა აკვარიუმს არ უნდა გავდეს, სადაც არ ესმით ერთმანეთის და თევზებივით პირს აღებენ მხოლოდ. 30 წელი სულ შეცდომებზე ვიარეთ და მთელი ეს პერიოდი სავსე იყო პარადოქსებით. ქვეყანა საარჩევნო კამპანიად იქცა. და არავის ახსოვს მეფე ლირივით მიტოვებული ხალხი.

და ბოლოს, მაინც იმედით შევხვდეთ ახალ წელს, რომ ეს ყველაფერი გამოსწორდება და საქართველო აუცილებლად გაბრწყინდება.

---



## საახალწლო მილოცვა

## დაე, აღსრულდეს პატარა ქალაქის დიდი მიზნები

გულითადად მინდა ჩემს თანაქალაქელებს მივულოცო დამდეგი ახალი წელი. 2019 წელი, რომელიც ისტორიის კუთვნილება გახდა, იგი გამორჩეული იყო მნიშვნელოვანი მოვლენებით, პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში. დემოკრატიის მშენებლობის ურთულეს, მართლაც დიდი წინააღმდეგობებით აღსავსე დროში.

ქვეყნის შემდგომი წინსვლა ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის გარეშე წარმოუდგენელია. ამის გარანტი არის და იქნება ჩვენი ქრისტიანული რწმენა, რომელიც ქართველობის იდენტურია, რამეთუ ,,სამშობლოც, როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა"- ეს უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორიენტირი. ის გვაერთიანებს,ჩვენ ხომ ბევრნი ვართ, არც პარტიების სინაკლებეა,მაგრამ ქვეყანა, ქალაქი ერთია, თავისი ტკივილითა და სიხარულით. ამის გახსენება იმიტომ დამჭირდა, რომ ჩვენ ვდგავართ რეალური საშიშროების წინაშე-პარტიულ კინკლაობას ქვეყანა გადავაყოლოთ.

დაე, ახალი წელი ყოფილიყოს შერიგების, ჯანსაღი საქმიანი ურთიერთობის წელი. დიდი ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობა გაცილებით მეტ მოთხოვნებს გვიყენებს თვითმმართველობის შემდგომი განვითარების, ცენტრის და ქალაქის ურთიერთობის დარეგულირების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის და ბატონ ბიძინა ივანიშვილს მხარდაჭერით დიდი პროექტები ხორციელდება ქალაქში, რაც მის ხვალინდელ დღესთან არის დაკავშირებული. ასევე აღსანიშნავია საპორტო ინფრასტრუქტურის გაფართოება-ახალი პორტის მშენებლობა, რაც გარკვეულწილად გადაწყვეტს ფოთელთა დასაქმების პრობლემას.

ქალაქის ინფრასტრუქტურა პირდაპირ კავშირშია ტურისტული პოტენციალის ზრდასთან, წინა პლანზე უნდა წამოვწიოთ ლეგენდარული ქალაქის, ფაზისის უნიკალური, ისტორიული პერიპეტიები, ის ხომ კოლხური ცივილიზაციის ცენტრი იყო თავისი აკადემიით. თავად არგონავტების თემატიკა, მედეას უნიკალური ფენომენი მსოფლიოსთვის ცნობილია და იგი უნდა დაუკავშირდეს ტურისტულ მომავალს. ფაზისი მსოფლიო ტურისტულ რუკაზე უნდა დამკვიდრდეს.

წლევანდელი წელი საქართველოს საგარეო პოლიტიკის მხრივ წარმატებული იყო, საქართველო გახდა ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ევროინტეგრაციის თვალსაზრისით.

2020 საპარლამენტო არჩევნების წელია, ეს არის უმნიშვნელოვანესი გარდატეხის წელი. სახელმწიფო მართვის სადავეებთან უნდა მივიდნენ კეთილსინდისიერი ადამიანები, პოლიტიკოსები, პროფესიონალები, დაე, აღსრულდეს ქართველი ხალხის ნება-სწრაფი ტემპით გაგრძელდეს ეკონომიკური განვითარება, ადამიანთა სოციალური პრობლემების მოგვარება, იმედის მომცემია ქალაქის საბიუჯეტო შემოსავლები, რომლლითაც განხორციელდება მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები.

ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ფოთი იქცეს ევროპული ტიპის ქალაქად, როგორც საქართველოს საზღვაო კარიბჭე, ამას იმსახურებს ფოთი და ფოთელები.

ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ყოველი ფოთელისთვის ეს წელი-უფლის რწმენით, სიყვარულით გაბრწყინებული: ჯვრისწერა, დაბადება, გამრავლება, წარმატებები დაგბედებოდეთ!

მრავალ შობა-ახალ წელს!

,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო
აკადემიის პრეზიდენტი
ნუგზარ ნადარაია

# შობა-ახალ წელს გვილოცავენ

## ქ. ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის წევრი ირაკლი ხახუბია

### რეალური ხდება ქალაქის შემობრუნება ზღვისკენ - ახალი საპორტო ინფრასტრუქტურა 500 კაცს დაასაქმებს



ძვირფასო ფოთელებო! გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! ყოველივე საუკეთესოს მომტანი ყოფილიყოს 2020 წელი თქვენთვის, თქვენი ოჯახებისთვის, ჩვენი ქალაქისთვის და სრულიად საქართველოსთვის! მინდა გისურვოთ ხვავით, ბარაქით, სიკეთით და ბედნიერებით დატვირთული ახალი წელიწადი!

მსურს მიმოვიხილო 2019 წელს განხორციელებული და დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტები ჩვენს ქალაქში.

ჩემი აქტიური ჩართულობით ფოთში დავასრულეთ სკოლამდელი დაწესებულებების გაზიფიცირების და გათბობის სისტემის სამონტაჟო სამუშაოების მეორე ეტაპი. 2019 წლიდან დამატებით 5 საბავშვო ბაღის აღსაზრდელი და აღმზრდელი იმყოფება უკეთეს გარემოში. სკოლამდელი დაწესებულებების მიმართულება ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და ამ მიმართულებით ვითარების გაუმჯობესებისთვის აქტიურად გავაგრძელებ მუშაობას ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად.

2019 წელს ბარათაშვილის ქუჩიდან, ყოფილი ციტრუსების მეურნეობის ტერიტორიაზე გამავალი და მალთაყვის სანაპირო ზოლის შემაერთებელი გზის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა. პროექტის ფარგლებში ასფალტ-ბეტონის საფარით მოეწყო 1744 მ. სიგრძის გზა. სამუშაოების ღირებულებამ 826 000 ლარი შეადგინა.

მიმდინარე წელს დასრულდა სურსათის ეროვნული სააგენტოს ფოთის სამსახურის ადმინისტრაციული ცენტრის მშენებლობა. პროექტის ფარგლებში, რომლის განხორციელების პროცესშიც პირადად ვიყავი ჩართული, კოსტავას ქუჩაზე აშენდა თანამედროვე სტანდარტების ახალი შენობა, რომელიც სრულად აღიჭურვა საოფისე ინვენტარით და კომპიუტერული ტექნიკით. პროექტის ჯამურმა ღირებულებამ 200 ათასი ლარი შეადგინა.

2019 წელს ფოთში დაიწყო ახალი საპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა. პროექტი 500 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას ითვალისწინებს. მშენებლობის ფარგლებში, აკვატორიის დაღრმავების შედეგად შესაძლებელი იქნება 60 000 ტონამდე წყალწყვის გემების მიღება, რომელიც ტვირთბრუნვის 5 მილიონ ტონამდე გაზრდის შესაძლებლობას იძლევა. ახალი საპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა აშშ-ის მთავრობის კერძო საინვესტიციო კორპორაციამ (OPIC) 50 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციით დააფინანსა. პროექტის ჯამური ღირებულება 120 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

მნიშვნელოვანია, რომ 2019 წელს ფოთის თეატრის სარემონტო სამუშაოები დაიწყო. პროექტის ფარგლებში ხორციელდება შენობის სარდაფის, სახურავის, სამსახიობო-საგრიმიორო ოთახებისა და შიდა სივრცის სარემონტო სამუშაოები. ასევე მონტაჟდება ვენტილაციისა და გაგრილების სისტემები. რაც შეეხება მეორე ეტაპს, რაც გარე ფასადის რეაბილიტაციას ითვალისწინებს, აღნიშნული სამუშაოები 2020 წელს განხორციელდება.

მიმდინარე წელს დასრულდა ფოთის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი. მოეწყო 1700 მაყურებელზე გათვლილი დასავლეთი ტრიბუნა, შიდა და გარე კომუნიკაციები, გასახდელები, საშხაპეები, სველი წერტილები, საკონფერენციო დარბაზი, ექიმისა და დოპინგ-კონტროლის ოთახები. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხარდაჭერით, დაიგო საერთაშორისო სტანდარტების მინდვრის საფარი და დამონტაჟდა სარწყავი სისტემა.

2019 წელს დაიწყო კუნძულის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი. სანაპირო ზოლის მიმდებარედ 2 კილომეტრიანი გზის საფარი მოასფალტა, მოეწყო განათების ახალი სისტემა. პროექტის მეორე ეტაპი 2020 წელს გაგრძელდება და იგი ითვალისწინებს ჯებირის რეაბილიტაციას, საფეხმავლო ბილიკების, სავარჯიშო ზონების, საჩრდილობლების, წყლის შადრევნების, ვეტერანთა სახლის, სპორტული და საბავშო მოედნების მოწყობას, ასევე კაფეებისა და კომერციული ობიექტების განთავსებას.

სრულდება მდინარე კაპარჭინას გაწმენდითი სამუშაოები, რასაც ქალაქისთვის, როგორც ეკოლოგიური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

პროექტების თვალსაზრისით, ძალზედ პოზიტიური იქნება 2020 წელი ფოთისთვის. იწყება საზღვაო აკადემიის მშენებლობა. ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის ყოფილ შენობას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი და კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული სასწავლებელი გაიხსნება. ისტორიული შენობის აღდგენის სამუშაოების ღირებულება 5 876 124 ლარით განისაზღვრა.

2020 წელს ახალი საცურაო აუზი და 350 ადამიანზე გათვლილი სპორტული მოედანი გაიხსნება. ახალი კომპლექსი სპორტით დაინტერესებულ ადამიანებს საშუალებას მისცემს კეთილმოწყობილ გარემოში ივარჯიშონ და სპორტის მრავალ სახეობაში გამართონ ტურნირები, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. პროექტის ღირებულება 14.5 მილიონი ლარია.

სამეგრელოს ქუჩაზე რეაბილიტირებული საფეხბურთო სკოლა 2020 წლიდან მოემსახურება ჩვენს ფეხბურთელებს. ადგილზე მიმდინარეობს ორი ხელოვნურსაფარიანი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მოედნის და ადმინისტრაციული შენობის მოწყობა. პროექტის ღირებულება 4 მილიონი ლარია.

გაგრძელდება ფოთის ცენტრალური სტადიონის მშენებლობის მეორე ეტაპი, რისთვისაც 5 706 712 ლარი დაიხარჯება. ნინო ჟვანიას ქუჩაზე კი სპორტ-დარბაზის რეაბილიტაცია დასრულდება და ქალაქს შეემატება კიდევ ერთი თანამედროვე სპორტული დარბაზი.

2020 წელს დაიწყება ფოთის კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია. ცენტრალურ პარკში მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები, დასასვენებელი ბაქნები და სათამაშო (საბავშვო) მოედნები, გაზონი, საპარკო სკამები, შადრევნები, დეკორაციული განათების ბოძები. ასევე, დაგეგმილია ტერიტორიის მწვანე ნარგავებით შევსება.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით, 2020 წლის გაზაფხულზე ფოთს შეემატება 10 სრულიად ახალი, თანამედროვე სტანდარტების ავტობუსი, რისთვისაც მოეწყობა გაჩერებები და ავტობუსების დეპო.

დაგეგმილია ფოთის სანიჩბოსნო ბაზის მშენებლობა ბესიკის ქუჩაზე, რომლის პროექტიც უკვე მზადაა. თანამედროვე ტიპის სანიჩბოსნო ინფრასტრუქტურის მშენებლობა მდინარე კაპარჭინაზე განხორციელდება.

გულითადად გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! 2020 წელი წარმატების მომტანი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანისთვის!

**საუკეთესო სურვილებით,**
**საქართველოს პარლამენტის წევრი**
**ირაკლი ხახუბია**

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია

### ფოთის მომავალი საზღვაო ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარებას უკავშირდება



მოხარული ვარ ,რომ მაქვს პატივი მივულოცო ჩემს თანაქალაქელებს და სრულიად საქართველოს ახალი წლის დადგომა. ვისურვო რომ 2020 წელი იყოს სიკეთის, ხვავის, იღბლისა და წარმატებების მომტანი წელი თითოეული ჩვენი თანაქალაქელისთვის,ჩვენი ქვეყნისათვის.

მინდა აღვნიშნო, რომ განსაკუთრებით, იმედის მომცემია, ის უახლესი პერსპექტივები, რომელიც ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ქალაქს,როგორც კავკასიის საზღვაო კარიბჭეს, გააჩნია მმართველი პარტია „ ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო" პარტიის თავჯდომარის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით გატარებული წარმატებული საგარეო და საშინაო პოლიტიკის შედეგად.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს ქალაქზე გადის უმოკლესი სატრანზიტო გზა,რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ევროპასა და აზიას.საქართველოს მთავრობის სწორი პოლიტიკის შედეგად 2019 წელი წარმატებული იყო საქართველოსთვის,როგორც რეგიონის სატრანზიტო-ლოჯისტიკური ცენტრისთვის. რაზეც მიგვითითებს 2019 წელს ტვირთბრუნვის ზრდა 50%-ით.

სასიხარულოა,რომ არსებული ტვირთბრუნვის შენარჩუნების და გაზრდის მიზნით, ამერიკის მთავრობის მიერ გამოიყო 50 მილიონი აშშ დოლარი, ყოფილი გემთსაშენი ქარხნის ტერიტორიაზე ახალი თანამედროვე ნავმისადგომის მშენებლობისათვის. ამასთანავე ფოთის ნავსადგურის მმართველ კომპანიას გააჩნია კონკრეტული გეგმები დამატებით 250 მილიონი დოლარის ინვესტირებაზე, რის შედეგადაც მოეწყობა მაღალი წარმადობის ნავმისადგომები და სანავსადგურო ინფრასტრუქტურისთვის კეთილმოეწყობა 100 ჰექტარი ტერიტორია.

აღსანიშნავია, რომ როგორც მოსალოდნელი იყო,ნავსადგურის და ფოთში მოქმედი სხვა საწარმოების ეკონომიკურმა განვითარებამ, ასევე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გატარებულმა სხვადასხვა ღონისძიებებმა, შესაძლებლობა მოგვცა 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი 2019 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილიყო 15 პროცენტით,2 მილიონი ლარით.

აქვე აღვნიშნავ, რომ 2019 წელი გარდამტეხი იყო ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარების კუთხით.

მინდა მივულოცო ფოთელებს, რომ უკვე ახალი წლიდან დაიწყება ყოფილი ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები, რისთვისაც საქართველოს მთავრობის დადგენილებით 6 მილიონამდე ლარი გამოიყო. ეს შენობა ქალაქისთვის უდიდესი ისტორიული და არქიტექტურული ღირებულების მატარებელია.

შენობაში ბათუმის საზღვაო აკადემიის ფილიალი განთავსდება. სასწავლებელი საწყის ეტაპზე, პროფესიულ განათლებაზე იქნება ორიენტირებული. ახალი სასწავლებელი გათვლილი იქნება 1200 სტუდენტზე და დასაქმდება 250-მდე პროფესორ-მასწავლებელი და ადმინისტრაციული პერსონალი.

საზღვაო აკადემიის - პროფესიული სასწავლებელი ფოთს ახალ დატვირთვას შესძენს და ხელს შეუწყობს ქალაქში ახალგაზრდა თაობის დარჩენას, შემდეგ კი მათ ადგილზე დასაქმებას. სასწავლებელი თავისი პროფილით სანავსადგურო ქალაქის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

გარდა ამისა მიმდინარეობს მუშაობა ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალის შენობის რეაბილიტაციაზე და იქ საერთო საცხოვრებლის განთავსებაზე სასწავლბლის სტუდენტთა და პედაგოგებისთვის.

მომავალ წელს გაზაფხულზე იგეგმება ზერაგიას ქუჩაზე საცურაო აუზისა და სპორტული კომპლექსის მშენებლობის დასრულება, 350 ადამიანზე გათვლილი კომპლექსი 2 საცურაო აუზით. სკოლის მოსწავლეებისთვის იგეგმება უფასო სასწავლო სექციები. პროექტის ღირებულება 14,5 მილიონ ლარს შეადგენს. მას ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით, მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს

ჩვენ დავიწყეთ მდინარე კაპარჭას გაწმენდის სამუშაოები, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც მდინარე კაპარჭის წყალგამტარიანობისა და შესაბამისად პალიასტომის ტბის ეკოსისტემის აღდგენის, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარებას მიზნით. პროექტით გათვალისწინებულია 3 700 მეტრიანი ზოლის ამოწმენდა. სამუშაოები ჯერ არ დასრულებულა, თუმცა შედეგი სახეზეა და იგი უპირველესად თევზის მომრავლებაზე აისახა.

ამასთან ერთად, მზადაა საპროექტო დოკუმენტაცია და მომავალ წელს დაიწყება ბესიკის ქუჩაზე სანიჩბოსნო ბაზის ტერიტორიაზე ახალი კომლექსის მშენებლობას სრული ინფრასტრუქტურით. რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული უბნის და სანიჩბოსნო სპორტის განვითარებას,შესაძლებელი იქნება უცხოელი სპორცმენების შეკრებებზე მიღებაც.

2019 წელს დაიწყო ქალაქისთვის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელება. ეს არის კუნძულის უბნის სანაპირო ზოლის რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია. პროექტის პირველ ეტაპზე, 2 კილომეტრიან სანაპირო ზოლზე მოეწყო შიდა კომუნიკაციები, გაკეთდა ახალი საავტომობილო გზა, დამონტაჟდა განათების ახალი ბოძები და სისტემები.

პროექტის მეორე ეტაპი ჯებირის რეაბილიტაციას, საფეხმავლო და საავტომობილო გზის, სავარჯიშო ზონების, საჩრდილობლების, სასმელი წყლის შადრევნების, ვეტერანთა სახლის, სპორტული და საბავშვო მოედნების მოწყობას, ასევე კაფეებისა და კომერციული ობიექტების განთავსებას ითვალისწინებს.

2020 წელს იგეგმება ასევე კუნძულის და მალთაყვის სანაპირო ზოლის ნაპირგამაგრების სამუშაოების ჩატარება. პროექტის ღირებულება 4,2 მლ ლარს შეადგენს

ფოთში უმნიშვნელოვანეს პროექტს ახორციელებს შპს „საქართველოს მელიორაცია". 60 წლის შემდეგ, მდინარე რიონის ქალაქში გამავალი არხი დანალექი შლამისა და ნატანისაგან გაიწმინდება. გაიწმინდება და აღდგება ნაპირდამცავი ჯებირები. არხი გაატარებს 400 კუბურ მეტრს წამში, რაც მნიშვნელოვანია რიონის ჰიდრო დინამიური რეჟიმის აღდგენის, შავი ზღვის სანაპირო ზოლის სტაბილიზაციისთვის. პროექტის ფარგლებში, ე.წ. მეშვიდე კილომეტრიდან ზღვამდე, მოხდება რიონის ფსკერის გაწმენდა, ჯებირების აღდგენა-რეაბილიტაცია. ასევე ზღვის შესართავთან რიონის, ამჟამად მოსილული მარცხენა შტოს გაწმენდითი სამუშაოებიც განხორციელდება. ყველა ამ ღონისძიების შედეგად შესაძლებელი გახდება ადრეულ წლებში ზღვით წარეცხილი ტერიტორიების აღდგენა.

მოგეხსენებათ, რომ 2018 წელსაც, მდინარე რიონის სარეგულაციო ჰიდროკვანძის ნაგებობას ჩაუტარდა რეაბილიტაცია. სამუშაოები შპს „საქართველოს მელიორაციამ" განახორციელა, რაზეც 1 336 000 ლარი დაიხარჯა. ჩატარდა ყველა საჭირო სამუშაო იმისთვის, რომ შესაძლო წყალდიდობების შემთხვევაში, ნაგებობა მზად იყოს გაატაროს წყლის მაქსიმალური მოცულობა.

2019 წელს ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით შევძელით ფოთის თეატრის რეაბილიტაციის სამუშაოების დაწყება. მისი სრული ღირებულება 795 998 ლარს შეადგენს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შენობის ინტერიერის სრული განახლება - კერძოდ, სარდაფის, სახურავის, სამსახიობო-საგრიმიორო ოთახებისა და შიდა სივრცის სარემონტო სამუშაოები, მონტაჟდება ვენტილაციისა და გაგრილების სისტემები.

სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი ახლო პერიოდში დასრულდება. რაც საშუალებას მისცემს თეატრის დასს, რომ ახალი წლიდან დაუბრუნდეს საკუთარ კერას და რეაბილიტირებულ თეატრში განაგრძოს შემოქმედებითი საქმიანობა. ამის პარალელურად, გამოცხადდება გარე ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოებზე ტენდერი და გვექნება სრულად რეაბილიტირებული თეატრი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და უეფას დაფინანსებით ფოთის საფეხბურთო სკოლის ტერიტორიაზე ტექნიკური ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში ადგილზე მოეწყობა ორი ხელოვნურ საფარიანი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მოედანი განათებით, ასევე 300 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა და ტექნიკური შენობა ფეხბურთელთა და მსაჯთა გასახდელებით, მწვრთნელების ოთახით, სამედიცინო ოთახით, რომელიც ადაპტირებულია შშმ პირთათვის. ჩვენ ამით გადავჭრით, წლების განმავლობაში ბავშვთა საფეხბურთო სკოლის წინაშე მდგარ პრობლემებს და ფოთელ მოზარდებს შევუქმნით ყველა პირობას ვარჯიშისა და თამაშისთვის.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადდა ტენდერი ცენტრალური სტადიონის მშენებლობის მეორე ეტაპის სამუშაოებზე. და ქალაქს ექნება განახლებული, თანამედროვე ევროპული სტანდარტებით აღჭურვილი საფეხბურთო სტადიონი 5 500 მაყურებელზე.

გაგრძელება მე-4 გვ-ზე



## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია

დასაწყისი მე-3 გვ-ზე

ამჟამად სტადიონზე შესაძლებელია ერთდროულად 1870 მაყურებლის მიღება.

2019 წელს განხორციელებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია ქალაქის მთელს ტერიტორიაზე, ქუჩის გარე განათების მოძველებული ტექნოლოგიის და ამორტიზირებული ნათურები ჩანაცვლება ახალი, ლედ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული სანათებით.

დამონტაჟდა გრძელვადიანი, IШ სტანდარტების შუქ-დიოდური 4288 ცალი ახალი სანათი, 66 ელ. კარადაში მართვის ბლოკები და შესაბამისი პროგრამული მართვის სისტემები.

აღსანიშნავია, რომ ლედ-სანათების პროექტი დაიგეგმა ევროკავშირის ინიციატივის „მერების შეთანხმება“ ფარგლებში დარგის ექსპერტებთან თანამშრომლობით, ნათურები და განათების სისტემა, განათების წინა ტექნოლოგიებთან შედარებით სამ ძირითად უპირატესობას იძლევა: ამცირებს ნახშიროჟანგის გამოყოფას, ენერგიის მოხმარებას და მომსახურების ღირებულებას. გარე განათების ელექტრო ენერგიის საფასური, რომელიც წლიურად 700 ათას ლარს შეადგენდა, დაგეგმილია, რომ შემცირდეს დაახლოებით 50 %-ით. დაზოგილი თანხა მოხმარდება სხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას. (ნოემბრის თვეში გადასახადმა შეადგინა 38,0 ათასი ლარი, 2018 წლის ნოემბერში კი გადასახადი შეადგენდა 63,0 ათას ლარს. სამონტაჟო სამუშაოები ნოემბრის თვეში სრულად არ იყო დასრულებული და ყველა ნათურა არ იყო შეცვლილი)

აუცილებლად უნდა აღვნიშნო ახალი საავტომობილო გზა, რომელიც შევმატეთ ქალაქს. 1744 მ. სიგრძის გზა, რომელიც ბარათაშვილის ქუჩას მალთაყვის ბულვართან აერთიანებს, უმოკლესი გზაა ქალაქის ცენტრიდან ზღვის სანაპირო ზოლზე მოსახვედრად. ამით შევქმენით პირობა უბნისა და სანაპირო ზოლის შემდგომი ინფრასტრუქტურული განვითარებისათვის.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება ფოთში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობების აღდგენის კუთხით. ერთ-ერთია გერმანელი არქიტექტორის ფრიკის მიერ დაპროექტებული შენობა, სადაც ადრე უშიშროების სამსახური იყო განთავსებული. სულ მალე შენობა ქალაქს დაუბრუნდება საკუთრებაში, რის შემდეგაც ფონდი „ქართუ“ გეგმავს მის სრულ რეაბილიტაციას.

ყოველ წელს ფოთის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტს. ეს არის მრავალბინიანი სახლების სახურავების კაპიტალური რემონტი, ტროტუარების რეაბილიტაცია, ეზოების კეთილმოწყობა. მიმდინარე პროექტების წელს მიემატა პანდუსები შშმ პირებისათვის. ყველა ადმინისტრაციულ შენობაზე მოხდა პანდუსების მიშენება.

წელს გადაიხურა 17 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. გადახურვის სამუშაოები მომავალ წელსაც გაგრძელდება.

რეაბილიტირდა ფარნავაზ მეფისა და კოსტავას ქუჩის ტროტუარები. სამუშაოები 2020 წელსაც ჩატარდება.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით, საქართველოს 5 ქალაქთან ერთად, ფოთსაც მომავალ წელს შეემატება 10 ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსი. მოეწყობა ევრო დეპო და თანამედროვე ტიპის მოსაცდელები.

2019 წელსს ფოთის მერიის მიერ შესყიდული იქნა 25 მილიონზე მეტი ლარის სამშენებლო პროექტები, მათ შორისაა ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია, ბარათაშვილის, აკაკის, წმინდა გიორგის. 26 მაისის. თამარ მეფის, ვახტანგ გორგასლის, ჭავჭავაძის ქუჩების რეაბილიტაცია და სხვა.

2020 წელს ისევ გაგრძელდება სოციალური პროგრამები, რომელსაც თვითმართველობა უკვე წლებია ახორციელებს და მათ რიცხვს მიემატება კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი პროგრამა, რითაც ჩვენი თანაქალაქელები ისარგებლებენ.

აღსანიშნავია რომ 2019 წელს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ფოთელმა სპორტმენებმა, მე მხოლოდ რამდენიმეს გამოვყოფ: ესენი არიან ელიზბარ თურქია, ჭიდაობა სამბოში მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულია, 65 კგ. წონით კატეგორიაში; ხოლო 52 კგ. წონით კატეგორიაში, მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელია ჩვენი მოჭიდავე გივი ნადარეიშვილი. არ შეიძლება არ აღინიშნოს 14 წლის მოჭადრაკე ელენე წოწონავა, რომელიც ამ ასაკში ფიდეს ოსტატი გახდა და მოიპოვა 2020 წლის საქართველოს 77-ე ქალთა ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზური.

აღსანიშნავია 2019 წელს კადრების გადამზადების მიზნით გატარებულ იქნა მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რისი შედეგიცაა ის, რომ ქალაქის თვითმმართველობამ შეძლო ევროკავშირის რამდენიმე გრანტის მოპოვება.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ, არასამთავრობო სექტორთან პარტნიორობით, შეიმუშავა ევროკავშირის საგრანტო პროგრამა. ფოთის მუნიციპალიტეტი მიიღებს 345 ათას ევროს. 3 წლიანი პროექტი მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფას. აღნიშნული გრანტის ფარგლებში, ევრო კავშირი მომავალ წელს გამოყოფს 80 ათას ევროს, 2-დან 5 ათას ევრომდე ღირებულების ქვეგრანტების გასაცემად.

აღსანიშნავია რომ, გაეროს განვითარების საგრანტო კონკურსში, რომელშიც 23 მუნიციპალიტეტი მონაწილეობდა. გამარჯვებულ შვიდ ქალაქს შორისაა ფოთი. ეს არის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით გამოყოფილი გრანტი, 60 ათასი ლარის ოდენობით, რითაც მარტოწყალას ტბაზე მოეწყობა სათევზაო პირსები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირებისთვის, დამონტაჟდება განათება, დაიდგმება კოტეჯები.

წარმატებული იყო 2019 წელი დაძმობილებულ ევროპულ ქალაქებთან ურთიერთთანამშრომლობის კუთხითაც. შვედეთის ქალაქ ოსტამართან ერთად განვახორციელეთ SIDA-ს პროექტი, რომლის საშუალებითაც გადამზადდა მსურველები და მათ მიენიჭა სოციალური მუშაკის შესაბამისი სტატუსი. ასევე ოსტამარის მუნიციპალიტეტმა საჩუქრად გადმოგვცა ადაპტირებული მიკრო ავტობუსი, რომლითაც კოალიცია „სოციალური რეფორმებისთვის“, შშმ ბავშვთა დღის ცენტრის ბენეფიციარებს ვემსახურებით.

მნიშვნელოვანი შედეგები გვაქ პოლონეთის ქალაქ სუვალკის მუნიციპალიტეტთან ურთიერთობაში. ქალაქ სუვალკში არის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, სადაც მრავალი საწარმოა განთავსბული. საწარმოები საჭიროებენ კვალიფიციურ სპეციალისტებს. ქალაქის ხელმძღვანელობამ გამოთქვა სურვილი პოლონელმა ახალგაზრდებმა პროფესიული განათლება მიიღონ ჩვენს ქალაქში, ხოლო მსურველები გარკვეული პერიოდით დაასაქმონ თავიანთ საწარმოებში სპეციალობების შესაბამისად. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა საორგანიზაციო საკითხებზე.

ასევე მინდა აღვნიშნო ესტონეთის ქალაქი მარდუ, რომელიც ფოთის მსგავსად წარმოადგენს საპორტო ქალაქს. აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა საუკეთესო გამოცდილებების ურთიერთგაცვლაზე.

როგორც ვხედავთ 2020 წელს წინ კიდევ უფრო დიდი გამოწვევებია, ვიდრე 2019-ში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბატონი გიორგი გახარიას დავალებით, სრულდება მალთაყვის განაშენიანების გენერალური გეგმის შემუშავება. გენერალური გეგმის მიხედვით დაახლოებით 300 ჰექტარი ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს ტურისტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი, კულტურულ-საგანმანათლებო ობიექტები. გენერალური გეგმა ითვალისწიწინებს ასევე საცხოვრებელი ზონის განვითარებას. ასევე მიმდინარეობს აქტიური სამუშაოები ქალაქ ფოთის ნავსადგურთან დამაკავშირებელი შემოვლითი გზის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთების, საპროექტო და საინვესტიციო დოკუმენტაციის მომზადებაზე. დარწმუნებული ვართ, რომ ცენტრალური ხელისუფლების დახმარებით, ქალაქ ფოთს ახლო მომავალში ექნება ნავსადგურთან დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გზა, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის ტვირთების გადამუშავების ხარისხს და ნორმებს, გადაჭრის ქალაქის ცენტრალური ქუჩების სატვირთო ავტომობილებით გადატვირთვის საკითხს, ეკონომიკურად მიმზიდველს გახდის მდინარე რიონის ჩრდილოეთის ტოტის მარცხენა სანაპიროზე არსებული 325 ჰექტარი ტერიტორიას, რაც საბოლოო ჯამში, ლარნაკას ქუჩის მსგავსად სამუშაო ადგილების მკვეთრ ზრდას გამოიწვევს.

ამდენად დიდი გამოწვევებით, მოლოდინით და გეგმებით ვხვდებით 2020 წელს. დარწმუნებული ვარ, რომ იგი პროდუქტიული, წარმატებული და სიკეთის მომტანი იქნება ჩვენი ქალაქისთვის.

## ფოთელებს დაუჯერეთ, ფოთელებს!

(ხვა გაზეთებიდან - ,,საქართველოს რესპუბლიკა” 20 დეკემბერი, პარასკევი)

## ანა რკიანს: რა უყავით ანაკლიასო?

საუბრები ანაკლიის პორტის მშენებლობაზე ბოლო დროს სულ უფრო აქტუალური ხდება. ცხარე დებატები და საწინააღმდეგო აზრები ზღვაში ამოვარდნილი შტორმივითაა, აზვირთებული ტალღები გზას იკვლევენ ნაპირისაკენ, აქ კი ეხეთქებიან ჯებირს და შხეფებად ქცეულნი ძალადაკარგული, ნაცემი ლეკვივით, ძლივს გასაგები შხუილით ბრუნდებიან უკან.

ზუსტად ასევე ტალღის შხეფებივით იმსხვრევა ერთ დროს დიდი ზარ-ზეიმით დაანონსებული ანაკლიის ნავსადგური. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები ძალღონეს არ იშურებენ და ჯიუტად გვიმტკიცებენ, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგური ყველა შემთხვევაში მაინც აშენდება.

მასმედიაში აგმოქვეყნებული წერილებით თუ ვიმსჯელებთ, კაცს ეჭვი შეგეპარება ამ გეგმის განხორციელებაშიც და მის მიზანშეწონილობაშიც.

ისტორიული ინტერპრეტაციით ანაკლია მეგრული ,,ანა რკიანსი’’-სგან წარმოიშვა. დედას შვილები გაუყიდეს და მან კივილი მორთოო.

დღეს ,,დედა ანა’’ სულ სხვა რამის გამო კივის და გმინავს. ანაკლია ათხარე და გადათხარეს, მილიონობით კუბამეტრი მიწა ზღვიდან ამოიღეს და ნაპირზე გორებად დაახვავეს, ადგილობრივი მაცხოვრებელი ხალხი ფუძიდან აყარეს, აქაოდა ჯერ არ ნახული, არ გაგონილ ღრმაწლოვან ნავსადგურს ვაშენებთ, რომელმაც საქართველო უნდა გადაარჩინოსო. ნავსადგურის მშენებლობა კი დაიწყეს საზეიმო ლენტიც გაჭრეს, მაგრამ მის გაგრძელებას პირი არ უჩანს და როგორც ისახება ახლა უკვე პატრონიც არ ჰყავს. ,,დო რკიანს ანაკლია: რა უყავით ანაკლიაო?’’

ხუმრობა იქით იყვეს და ძალიან უჭირს ანაკლიაში დაანონასებულ საუკუნოვან ღრმაწლოვანი ნავსადგურის აშენების პროექტს. ყოველ შემთხვევაში დღესდღეობით გადაწყვეტილი და ნათელი პასუხი ამ საკითხზე მთავრობასაც არა აქვს.

არადა დაგეგმილი იყო პორტის პირველი ეტაპი უკვე მომავალ წელს შესულიყო ექსპლუატაციაში. მთავრობამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა წლის ბოლომდე გადადო. სწორი გადაწყვეტილებაა. საშუალება მიეცემა ახალ წლამდე იფიქროს, ეგება რაღაც უკეთესობისკენ შეიცვალოს. საზოგადოებასაც საშუალება მიეცემა ახალ წლამდე იფიქროს, როგორ უკეთესად გადაწყდეს ანაკლიის 100 მილიონი ტონა ტვირთბრუნვის ნავსადგურის მშენებლობა.

უნებლიედ ფიქრი ჩნდება-ცოტა გვიან ხომ არ არის ამ საკითხზე ფიქრი?

მოვუსმინე ,,ანაკლიის განვითარების კონსერციუმის გენერალური დირექტორის ლევან ახვლედიანის’’ გამოსვლას საქართველოს პარლამენტის კომისიის სხდომაზე პორტის მშენებლობის საკითხის განხილვისას, მის ინტერვიუსაც გავეცანი გაზეთ ,,კვირის პალიტრაში’’ (№44 28 ოქტომბერი-3 ნოემბერი 2019 წელი) და იმდენად დაზეპირებული ფრაზებით პასუხობს კითხვებზე, რომ გაუგებარია თუ რისთვის არის საჭირო ამხელა გიგანტი ნავსადგურის მშენებლობა საქართველოში.

იბადება კანონიერი მარტივი კითხვა:- საიდან ელოდებიან და რა ტვირთია ეს 100 მილიონი ტონა ტვირთი? გასაგებია კონტეინერებით შემოვა, ფუთაც იქნება და ნაყარიც, მაგრამ სახელობრ ფიზიკურად რა ტვირთია ეს?

ამ კითხვაზე და ეს მთავარი კითხვაა მზა პასუხი არავის არა აქვს. გასაგებია რატომ!!!

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ საქმიდან ასე ჩანს, რომ დამფუძნებლის მთავარი მიზანი მხოლოდ ნავსადგურის აშენება და აქედან საკმაოდ დიდი სარგებლის მიღება იყო, თორემ ვისი სახსრებით აშენდება და ვინ როგორ ექსპლუატაციას გაუწევს, სულ ფეხებზე არ ჰკიდიათ?

ეს ასე რომ არ იყოს, ასე მოუმზადებლად და მოუწესრიგებლად, ძირითადი საკითხების მოუგვარებლად, მშენებლობას არავინ დაიწყებდა. მაგრამ მშენებლობას უძღვებოდნენ რესპუბლიკის ისეთი ძლიერი ხელმძღვანელი პირები, რომელთათვის კანონის დარღვევა მაინცდამაინც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, კი ეს გაცხადებულ თაღლითობას უფრო გავს, ვიდრე გეგმაზომიერ მიზანმიმართულ ქმედებას.

ჯერ კიდევ ,,2016 წლის 5-12 ივლისის ნომერში გაზეთმა ,,ილორმა’’ გამოაქვეყნა მამხილებელი წერილი ,,მორიგი სამთავრობო ბლეფი ანაკლიაში’’, სადაც საუბარია დაშვებულ შეცდომებსა და დარღვევებზე, მაგრამ ხელისუფალნი თავიანთ თავს ხომ არ გაკიცხავდნენ.

არა ბატონებო, ასე ამჩატება არ შეიძლება.

ანაკლიის ნავსადგურმა რომ გაამართლოს თავისი დანიშნულება და რენტაბელურად იმუშაოს, აქ ყოველდღიურად უწყვეტ რეჟიმში უნდა შემოვიდეს რამოდენიმე სახის (2-5 სახის მაინც) ტვირთნაკადი. მაგალითად, ბამბა, ხორბალი, ქვანახშირი, მადანი, ნავთობი, სხვა თხევადი ტვირთები.

წელიწადში 100 მილიონი ტონა ტვირთი რომ გადაამუშაოს ნავსადგურმა (იგულისხმება ტვირთის შემოტანა-გატანა) მან ყოველდღიურად (365 დღე-ღამე) უწყვეტ ნაკადში უნდა გადაამუშაოს სულ ცოტა 2740 ტონა ტვირთი. არახელსაყრელ ამინდებისას მოცდენების გამო გადასამუშავებელი ტვირთის წონა კიდევ უფრო მეტი იქნება. ამ ტვირთის გატარების ინფრასტრუქტურა უნდა შეიქმნას არა მარტო ადგილზე, არამედ ტვირთის გადაადგილების მრავალათას კილომეტრიან პერიმეტრზე სხვა და სხვა ქვეყნებში. ჯერ მარტო კასპიის ზღვის ყაზახეთის, თურქეთის, ირანისა და აზერბაიჯანის ნავსადგურებმა ძირითადად ანაკლიაზე უნდა იმუშაონ. დამიჯერეთ, ეს ასე ადვილი გასაკეთებელი არაა, ბ-ნი ლ. ახვლედიანი რომ ფიქრობს.

ჯერ მარტო საქართველოში შექმნილ ინფრასტრუქტურაშია ბევრი სიძნელეები და მოუგვარებელი საკითხები: გზა, ტრანსპორტი, ელ. მომარაგება და სხვა.

ყველაფერი რომ მოეწყობა და სიძნელეები დაიძლევა, ერთი კითხვა მაინც რჩება პასუხგაუცემელი, საიდან მოაქვთ ამ გიგანტ ნავსადგურში ტვირთი? სად არის გარანტია, რომ ანაკლიაში 100 მილიონი ტონა ტვირთი შემოვა.

ხომ არ შეიძლება აშენდეს გიგანტი და სულ რაღაც 2-3 ათეულ მილიონ ტონა ტვირთზე იმუშაოს, თუმც დღესდღეობით ესეც დიდი პრობლემაა. ცნობისათვის, ფოთი და ბათუმის ნავსადგურები დღეს მხოლოდ 10-12 მილიონ ტონა ტვირთს ამუშავებენ. ზღვით გადასაზიდი ამაზე მეტი ტვირთი საქართველოში არ არსებობს.

ერთსაც ვიტყვი. ჩვენი ქვეყანა ფეხბურთისადმი დიდი სიყვარულით არის ცნობილი. ალბათ მილიონზე მეტი გულშემატკივარი გვეყოლება საქართველოში. ვინმე ბედოვლათმა რომ შემოგვთავაზოს თბილისში ,, მარაკანას’’ ტოლა სტადიონს აგიშენებთო საინტერესოა როგორი იქნება ჩვენი რეაგირება?



ერთი შეხედვით ეს რა საკითხავია, მაგრამ რომ დაუკვირდები და განსჯი თუ როგორ შეავსებ მაყურებლით და როგორ მოუვლი ამხელა სტადიონს, უმალ მიხვალ ჭეშმარიტ დასკვნამდე- ,,მარაკანას’’ სიდიდის სტადიონი საქართველოს არ სჭირდება. უბრალოდ ვერ მოვუვლით სახსრების სიმწირისას და ბევრი სხვა მიზეზის გამო, ვერ მოვერევით.

თუ დაგვიჯერებთ ფოთელებს, ,,მარაკანას’’ მსგავსი ფენომენი ნავსადგურიც არ სჭირდება საქართველოს.

არ არის და საქართველოში შეიძლება არც არასდროს იქნეს ზღვით გადასაზიდი 100 მილიონი ტონა ტვირთი.

მაგრამ რადგანაც ანაკლიის ნავსადგური მშენებლობაზე უკვე დიდი სამუშაოებიაჩატარებული და დიდი ხარჯიცაა გაწეული, უპრიანი იქნება დავკმაყოფილდეთ ამ მშენებლობის პირველი ეტაპით და ეს სავსებით საკმარისი იქნება. ფოთი, ბათუმი, ანაკლია და სხვა პატარა პორტებთან ერთად სავსებით დააკმაყოფილებს ,,აბრეშუმის გზის’’ და საქართველოს ზღვით ტვირთგადაზიდვის ყველა პრობლემას. საჭიროების შემთხვევაში ფოთის და ანაკლიის ნავსადგურებს გაფართოების და ტვირთგადამუშავების გადიდების კარგი საშუალებები აქვთ.

რაც შეეხება ფოთის ნავსადგურს, ნიშნის მოგებით იმასაც ვიტყვი, რომ ის თავის ნიშას არ დაკარგავს, კიც გაფართოვდება, ღმაწლოვანიც იქნება, უფრო კეთილმოეწყობა, მეტ ტვირთსაც გადაამუშავებს და ქვეყანასაც მეტს არგებს.

ეს როგორც არის ნათქვამი, ეს გაიგონ იმათმა, ვინც დღეს ფოთის ნავსადგურის გაფართოების წინაალმდეგ გამოდის...

ქ. ფოთის საზოგადოებრივი
დარბაზის თავმჯდომარე
ო. ხუხუნი

# გიორგი გახარიამ - ფოთში საზღვაო აკადემიის სარესტავრაციო შენობა დაათვალიერა



ფოთში საზღვაო აკადემიის ფილიალის გახსნა, ახალგაზრდებს მისცემს საშუალებას, მიიღონ საერთაშორისოდ მოთხოვნადი, მაღალანაზღაურებადი სპეციალობა და ემსახურონ თავიანთ ქვეყანას
2021 წელს ფოთს საკუთარი საზღვაო აკადემია ექნება,- პროექტის განხორციელებისთვის საჭირო სახსრები პრემიერ-მინისტრის განკარგულებით გამოიყო.
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფილიალი ფოთში ჰიდრომელიორაციური ტექნიკუმის ისტორიულ შენობაში განთავსდება. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც უახლოეს პერიოდში დაიწყება, პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ ალექსანდრე მოწერელიასთან ერთად დაათვალიერა.
ფოთის აკადემია საწყის ეტაპზე იქნება მხოლოდ პროფესიულ განათლებაზე ორიენტირებული მაღალი დონის სასწავლებელი, რომელიც ყველა საერთაშორისო მოთხოვნას უპასუხებს.
1000-მდე სტუდენტზე გათვლილ სასწავლებელში 250-მდე ადამიანი დასაქმდება.
მთავრობის მეთაურის შეფასებით, ფოთის სასწავლებელი, გარდა იმისა, რომ რეგიონის ლოგისტიკურ ინტერესებს მოემსახურება, შექმნის მეთევზე მეზღვაურთა, ასევე მაღალკვალიფიციური რიგითი და დამხმარე შემადგენლობის წვრთნის პირობებს.
ფოთის საზღვაო აკადემიის პროექტის ბიუჯეტი 6 მილიონი ლარია და მას საქართველოს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს.
პროექტის მნიშვნელობაზე პრემიერ-მინისტრი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტებს ესაუბრა.
„ჩვენ მთავრობასთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად გადავწყვიტეთ, რომ ფოთში გავხსნათ აკადემიის ფილიალი. ეს მართლაც მისალოცი სიახლეა. პირველ რიგში ფოთელებისთვის, ფოთისთვის. დასაწყისში, ეს იქნება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც განთავსდება ისტორიულ შენობაში. ეს შენობა, დღეს სამწუხაროდ შელახულ მდგომარეობაშია, მაგრამ უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ტენდერი და ეს შენობა აღდგება. ეს დღესაც არის ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლი. ერთ წელიწადში ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ სარემონტო სამუშაოები დასრულდეს და ბათუმის საზღვაო აკადემიას, ფოთში ექნება ფილიალი. ეს საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, ახალგაზრდას მისცემს საშუალებას, რომ მიიღოს მაღალი დონის, მაღალანაზღაურებადი და რაც მთავარია, საერთაშორისოდ მოთხოვნადი სპეციალობა. ჩვენი ქვეყნის და ეკონომიკის ყველაზე დიდი გამოწვევა არის სამუშაო ადგილები. მთავრობის ძირითადი ამოცანა არის ხელი შეუწყოს ადამიანებს, ეკონომიკას, ბიზნესს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები. ამავე დროს, ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ გამოვასწოროთ ის დისბალანსი, რომელიც გვაქვს - ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები უშვებენ მათ შორის, ისეთ სპეციალისტებს, რომლებიც შემდგომ ბაზარზე მოთხოვნადი არ არიან.
ამისთვის საზღვაო აკადემია არის ყველაზე წარმატებული მაგალითი. თქვენთვის სამსახურის დაწყება პრობლემა არ არის, თან მოგეხსენებათ, რომ დღეს საქართველოში არის სხვადასხვა სპეციალობის 11 ათასამდე მეზღვაური და მათი დიდი ნაწილი, დაახლოებით 50 პროცენტზე მეტი დღეს საზღვარგარეთ მუშაობს და გარდა ამისა, თავისი შრომით ეხმარება თავიანთ ოჯახებს და ქვეყანას. ამიტომ, მაინც მინდა, ჩვენი დღევანდელი სპონტანური შეხვედრის ძირითადი თემა იყოს ფოთი, მინდა მივულოცო ამ აკადემიას, თქვენ, სამეგრელოს რეგიონს მივულოცო და იმ ახალგაზრდებს, რომელთაც ექნებათ საშუალება, მიიღონ საერთაშორისოდ მოთხოვნადი, მაღალანაზღაურებადი სპეციალობა და ასე ემსახურონ თავიანთ ქვეყანას.
ფოთის ფილიალი უნდა იყოს უფრო მაღალი დონის პროფესიულ ნაწილში, რამეთუ ახალია. არ ვსაუბრობთ უმაღლეს განათლებაზე. რა თქმა უნდა, უმაღლესი განათლების კომპონენტი ბათუმის აკადემიაში არის ისტორიული, ტრადიციული და ეს გაგრძელდება, თუმცა პროფესიული ნაწილის წამყვანი ძალა უნდა გახდეს ფოთის ფილიალი. მე ვფიქრობ, რომ ეს საზოგადოება ქართველი სანაოსნო სპეციალისტების, მეზღვაურების, კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს და თითოეულ ახალგაზრდას უნდა მივცეთ საშუალება, მიიღოს მაღალი კვალიფიციური განათლება. შეიძლება, თქვენ, როდესაც დაამთავრებთ, შემდეგ მასწავლებლებად მოგვევლინოთ. გისურვებთ წარმატებებს და იცოდეთ, რომ სწავლა-განათლება, ეს არის საამაყო მსახურება პირველ რიგში ქვეყნისთვის და თქვენი ოჯახებისთვის“,- განაცხადა გიორგი გახარიამ.
მთავრობის მეთაურმა ასევე ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის განახლებული სამანქანე განყოფილების ლაბორატორია დაათვალიერა, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ 500 000 ლარით დააფინანსა. სამანქანე განყოფილების ლაბორატორიის შენობა განახლდა, აღიჭურვა შესაბამისი დანადგარებით და შესაბამისობაში მოვიდა თანამედროვე გემების სამანქანო განყოფილებასთან. განახლდა ელექტროტექნიკის, პნევმატიკის, ჰიდრავლიკის და ელექტროავტომატიკის (FESTO) ლაბორატორიები. აკადემიის სტუდენტებს უკვე ექნებათ შესაძლებლობა, თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული გამოცდილებაც მიიღონ.
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პრემიერ-მინისტრი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძესა და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელ თამარ იოსელიანთან ერთად იმყოფებოდა.

## პროექტის „ახალგაზრდების იდეა ფოთს“ გამარჯვებული იდეების პრეზენტაცია გაიმართა



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ინოვაციური პროექტის „ახალგაზრდების იდეა ფოთს“ გამარჯვებული იდეების პრეზენტაცია გაიმართა.
როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფოთის მერიიდან აცნობეს, პროექტი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივაა და მიზნად ისახავს , ფოთელი ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ინოვაციური, საზოგადოების კეთილდღეობაზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურული და ურბანული პროექტების წარმოჩენას და მათ განხორციელებას.
„პროექტის ფარგლებში 16-დან 30 წლამდე ახალგაზრდებს საშუალება ჰქონდათ ინიციატივები ონლაინ-პლატფორმის საშუალებით წარედგინათ, დარეგისტრირებული 50-მდე იდეიდან გამარჯვებული 7 იდეა გამოვლინდა მოსახლეობის მიერ ხმის მიცემის შედეგად. გამარჯვებული იდეების ავტორები ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სიგელებით დაჯილდოვდნენ. გამარჯვებულ იდეებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი 2020 წელს განახორციელებს. პროექტის ბიუჯეტი 300 000 ლარია. გამარჯვებული იდეებია: ტურისტული დაფები - იდეის ავტორი: ალექსანდრე გიორგაძე; გულის კონსტრუქცია - იდეის ავტორები: სალომე სორდია, მელანო დგებუაძე; მეორე სკოლის მინი-სტადიონი - იდეის ავტორი: გიული გვარამია; ბურჯი ეროვნებისა - იდეის ავტორები: ნიკა გვასალია, ხვიჩა სურმავა; ფამფტრეკები - იდეის ავტორი: ნიკა სიმონიშვილი; ნაბადის სკვერი ეკლესიასთან - იდეის ავტორი: ლუკა ცანავა; მოცეკვავე შადრევანი აღმაშენებლის ხიდზე - იდეის ავტორი ცოტნე ხარებავა,”-აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ლამაზდება კუნძულის საზღვაო სანაპირო



წარმატებით მიმდინარეობს კუნძულის საზღვაო სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის პირველი რიგის სამუშაოები-მათ შორის სანაპირო ზოლის აღდგენის ბორდიურების, წყალსაწრეტების, მოწყობის განათების ბოძების შეცვლის სამუშაოები. სამუშაოებს აწარმოებს საამშენებლო კომპანია ,,უნივერსალი”-სამუშაოთა მწარმოებელი თემურ გაბუნია. შესრულებულია მილიონ 130 ათასი ლარის სამუშაოები. ახალი წლიდან დაიწყება სანაპირო ზოლის სავალი ნაწილის მოპირკეთება. გაზონებისა და ველობილიკების მოწყობა. გაკეთდება საბავშვო კუთხეები. ჩოგბურთის კორტი და ფეხბურთის სტადიონი. სულ დაიხარჯება 5 მილიონ 500 ათასი ლარი.
სამეგრელო ზემოსვანეთის გუბერნატრორი ბატონი ალექსანდრე მოწერელია მერიის ხელმძღვანელობა გოჩა კურდღელია და კოტე თოფურია სისტემატიურად აკონტროლებენ სამუშაოების მიმდინარეობას და, იმედია, სხვა მნიშვნელოვანი პროექტებიც ასე ხარისხიანად შესრულდება.
მომავალი წლიდან დაიწყება პენსიონერთა სახლის მშენებლობა და ეს ლამაზი ნაგებობაც დაამშვენებს აქაურობას.

პენსიონერთა კავშირის ,,ბერბერას თავმჯდომარე
ჯუმბერ კემულარია.

## ფოთის სანიჩბოსნო ბაზის მშენებლობის პროექტირებაზე მუშაობა დასრულდა

საკავშირო მნიშვნელობის სანიჩბოსნო ბაზა ფოთში, ბესიკის ქუჩაზე, საბჭოთა პერიოდში 1979 წელს გაიხსნა. მდინარე კაპარჭინაზე, ბუნებრივად მოსახერხებელი პირობების გამო, ბაზაზე წვრთნებს გადიოდნენ როგორც ქართველი სპორტსმენები, ისე ნაკრები გუნდები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან.
ნიჩბოსნობას ფოთში დიდი ტრადიცია გააჩნია. ჩვენი თანაქალაქელი ვიქტორ კრატასუკი საბჭოთა სპორტსმენი, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და სსრკ ორგზის ჩემპიონი იყო.
სამწუხაროდ 90-იან წლებში ვერ მოხერხდა ბაზის შენარჩუნება.
2019 წელს ადგილობრივი ხელისუფლების, სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებულის ძალისხმევითა და ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით, შემუშავდა სანიჩბოსნო ბაზის მშენებლობის გეგმა, რათ უზრუნველყოფილი იქნეს თანამედროვე ტიპის მაღალი დონის სტანდარტების შესაბამისი სანიჩბოსნო ინფრასტრუქტურის მშენებლობა.
არსებული სპორტული სკოლის ტერიტორიაზე თანამედროვე ევროპული სტანდარტების სანიჩბოსნო ბაზა აშენდება, საცურაო აუზითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით.
პროექტი ითვალისწინებს ადმინისტრაციის, სპორტული კომპლექსის (30 კაცზე) და სასტუმროს (11 ნომერი) მოწყობას, ადმინისტრაციულ ბლოკს, სატრენაჟორო (კანოეს) ღია და დახურული ტიპის ნავსაყუდელს 24 ნავზე, კატერის სადგომს 3-ადგილზე, ტივტივა ნავმისადგომს-25გრძ.მ. შენობის გარე და შიდა სივრცეები უნდა იყოს ადაპტირებული შშმ პირთათვის.
არსებული ამორტიზირებული ნაგებობები კი დემონტაჟს დაექვემდებარება.
ახალი სანიჩბოსნო ბაზის მშენებლობა მნიშვნელოვანია, როგორც სპორტის აღნიშნული სახეობის განვითარებისა და არსებული ტრადიციების აღორძინების, ასევე ქალაქის ეკონომიკური განვითარების კუთხით.

## სსიპ კოლეჯი “ფაზისი”-ს ახალი რეალიები



სსიპ კოლეჯის “ფაზისი” დირექტორს ქალბატონ ნინო ბაკურაძესა და “ებერჰარდ შოეკის” ფონდის აღმასრულებელ დირექტორს ბატონ პეტერ მოელერს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა.
ფონდსა და კოლეჯს შორის თანამშრომლობის მიზანს კოლეჯის მხარდაჭერა წარმოადგენს - დურგლის პროფესიის მიმართულებით. პროექტი ითვალისწინებს - სადურგლო სახელოსნოს მშენებლობას კოლეჯის ტერიტორიაზე, მეთოდური, შინაარსობრივი, დუალური მიდგომით პრაქტიკაზე ორიენტირებული პროგრამის განხორციელებას და შესაბამისი თანამედროვე აღჭურვილობის შეძენა/დამონტაჟებას.
ასევე თანამშრომლობის ფარგლებში ფონდი დააფინანსებს და კოორდინაციას გაუწევს გერმანელი ექსპერტების მოწვევასა და საქმიანობას კოლეჯის პროფესიულ მასწავლებელთა გადამზადებისა და მხარდაჭერის მიმართულებით.

## ,,არტ გალერეა 34”

### მომავალ ხელოვანთა უცხო სამყარო

თანამედროვე ხელოვნების გალერეა, არტ გალერეა 34, რომელიც მდებარეობს ქალაქ ფოთში მეგრელიშვილის სანაპიროზე, ერთი წელია რაც ფუნქციონირებს. არტ გალერეა 34 შეიქმნა იმისთვის, რომ ახალგაზრდა ხელოვანებს მიეცეთ საშუალება თავიანთი ნიჭი წარმოაჩინონ და თავისი ნაშრომები გააცნონ საზოგადოებას.
გალერეამ არაერთ პოეზიის საღამოს და გამოფენას უმასპინძლა. ამ სივრცეში ნებისმიერ ხელოვანს თუ კულტურის სფეროს წარმომადგენელს აქვს საშუალება გამართოს შეხვედრები თავიანთ მსმენელთან. ასევე ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებს შეუძლიათ ტრენინგების ან რაიმე საქმიანი ტიპის შეხვედრების მოწყობა.
2019 წელს „არტ გალერეა 34“-მა და „ფონდი ქველმოქმედი 2015“-მა განახორციელა ერთობლივი პროექტი, რომელშიც ჩართული იყო ბავშვთა დღის ცენტრის ბენეფიციარები და უსინათლო გოგონები. პროექტი ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ბავშვებმა და უსინათლო გოგონებმა სრულიად უფასოდ შეისწავლეს ხელნაკეთი აქსესუარების შექმნა-დამზადება.
პროექტში ჩართული იყვნენ მოხალისე პედაგოგები: სოფიო ვეკუა, ვიქტორია ბასილია და მარიამ ადამაძე. მათ სრულიად უანგაროდ შეასწავლეს ბავშვებს მხატვრობა და ხელნაკეთი აქსესუარების შექმნა.
„ფონდი ქველმოქმედი 2015“-ის დამფუძნებლის ია გორგოტაძის და „არტ გალერეა 34“-ის დირექტორის ია როგავას ინიციატივით 20 დეკემბერს არტ გალერეა 34-ში მოეწყო საახალწლო გამოფენა გაყიდვა. გამოფენილი იყო ბავშვთა დღის ცენტრის ბენეფიციარების და უსინათლო გოგონების მიერ მთელი წლის მანძილზე შექმნილი ნამუშევრები.
ამ პროექტის მიზანი იყო ის, რომ ბავშვთა ცენტრის ბავშვებს და უსინათლო გოგონებს შეესწავლათ ხელსაქმე შემდგომი გამოყენებისთვის, რათა მათ მომავალში შეძლონ ეს ხელსაქმე შემოსავლის წყაროდ აქციონ.
არტ გალერეა 34-ის დამფუძნებელი ია როგავა მადლობას უხდის „ფონდ ქველმოქმედ 2015“-ის დირექტორს ქალბატონ ია გორგოტაძეს და ყველა ადამიანს ვინც ჩაერთო ამ სასიკეთო საქმეში. არტ გალერეა 34 ყოველთვის მიესალმება მსგავსი ტიპის პროექტებს და ყოველთვის მზად არის ჩაერთოს და განავითაროს ჩვენს ქალაქში კულტურა, ხელოვნება და მეცნიერება. ხელი შეუწყოს ახალგაზრდა თაობას და დაეხმაროს მათ თა-



ვიანთი ნამუშევრების და ნაშრომების წარდგენაში ფართო საზოგადოების წინაშე. ასევე გალერეა მადლობას უხდის ტელეკომპანია „მეცხრე ტალღა“ს მთელ კოლექტივს და დირექტორს ბატონ გია სალიას მუდმივი მხარდაჭერისთვის.

# შობა-ახალ წელს გვილოცავენ

## ფირმა „კავტრექსფოთის“ გენ. დირექტორი რობერტ გვაჟავა



ახალი წელი ყოველთვის არის ერთგვარი ნიშანსვეტი ფიქრისა და განსჯისათვის.

მიუხედავად სირთულეებისა თანდათან იკვეთება ახალი კონტურები. ფოთი როგორც საპორტო ქალაქი კვლავ დაიკავებს ღირსეულ ადგილს ახალ აბრეშუმის გზაზე. ახალი იმედები ჩნდება ამასთან დაკავშირებით, ვინაიდან საქართველო ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა გახდა.

მთავარია გვქონდეს ხვალინდელი დღის რწმენა, გვიყვარდეს ერთმანეთი, დავეხმაროთ ერთმანეთს. ყველაზე დიდი კაპიტალი ხომ ადამიანთა შორის ურთიერთობაა.ძვირფასო თანაქალაქელები ამ იმედით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს.

დაე, გაგაძლიეროთ ღვთის რწმენამ და სიყვარულმა.

## ირა ფაცია ფირმა ,,გზამშენი-2013” მენეჯერი



მიუხედავად სირთულეებისა, იმედებით ვხვდებით ახალ წელს, რომ იგი იქნება ახალი საქმეების დასაწყისი, ადამიანებს ექნებათ ნორმალური ცხოვრების პირობები, სამუშაო, რათა აღასრულონ თავიანთი მოვალეობა ოჯახისა და ქვეყნის წინაშე, ნუ დაგვავიწყდება, რომ ადამიანები უკვდავები არა ვართ, რომ ერთმანეთის დანდობის, სიყვარულის გარეშე აზრი არა აქვს ცხოვრებას, ამიტომ გვაკლია ბევრი რამ, იმედია, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ღვთიურ გზას დაადგება და სიყვარულით გაგვაერთიანებს, ღმერთმა დაგლოცოთ, მრავალ ახალ წელს სიხარულით შეხვედროდეთ!

## ჯუმბერ ცომაია შპს ,,ბნპ”-ის გენერალური დირექტორი



მოდის ახალი წელი და მას ახალი სურვილებით, იმედებით და მოლოდინით ვხვდებით, იმედია 2020 წელს კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამთ ქვეყნის წინსვლა-განვითარების საქმეში, ცხოვრება ნელა, მაგრამ იცვლება უკეთესობისკენ, მთავარია,ყველას ერთი მიზანი-სამშობლოს წინსვლა, ქრისტიანული რწმენა გვაერთიანებს.

ახალი წლის და ქრისტეშობის დღესასწაული განუყოფელია, ღვთიურობის საწყისთან მივდივართ და ძალიან მინდა ქრისტე იშვას თითოეულ ჩვენგანის გულში. საქართველო რწმენამ მოიყვანა აქამდე და მას გაფრთხილება სჭირდება, ,,ენა, მამული, სარწმუნოება” ჩვენი უკვდავი საუნჯეა, უნდა შევინარჩუნოთ იგი. თუ გვინდა დავრჩეთ ქართველებად.

დაე, ყველა ოჯახისათვის სიხარული და ბედნიერება მოეტანოს ამ წელს, იხარეთ მრავალჟამიერ!

## ნაკო თოღუა ცნობილი მეფუტკრე და სახალხო მთქმელი



ჩემო ტანაქალაქელებო გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, უკეთესობის იმედით, ყოფილიყოს ეს წელი ქვეყნის გამთლიანების, ერთმანეთის გაგების, მეტი პასუხისმგებლობის ქვეყნის და ერთმანეთის მიმართ, ნათლად ვხედავ უკეთესობას, ვიყოთ ოპტიმისტები, მადლიერების გრძნობამ დაგვამშვენოს, გავალამაზოთ ახალი წელი მომღიმარი სახეებით, ვუსურვოთ ქვეყანას მრავალშვილიანობა, მშვიდობა და დოვლათი, ახალი წლისაგან მარტო უფლებებს ნუ ველით, მოვალეობა გაცილებით მეტია, გაიხარეთ!!!

მოვალეობას ნუ დავჩრდილავთ
უფლებების კაკანით
ქვეყანა არ აშენებულა,
უსაქმურობით, ყაყანით.
დროა დრო საქმით დავცვირთოთ
და არა დროის გაყვანით!

უფლება მოვალეობას
გზა გასაყარი არააქვს
მოვალეობა მეცია,
თუმც უფლებასაც ძალა აქვს.
ბევრი რამის უფლება გაქვს
თუმც ყველაფრის არა,
სულ გახსოვდეს სიცყვის ფასი
კმარა!კმარა! კმარა!

## საქართველოს პატრიარქს უწმინდეს და უნეტარეს ილია II-ს

ქართველი ერისათვის ზვარაკად
შეწირულო,
ქრისტეს ქურქელო, მწყემსო მადლიანო,
ჩვენო პატრიარქო, მამავ საყვარელო,
ჩვენით დაღლილო და ჩვენზე დარდიანო.

აღთქმულ მიწისაკენ, ჩვენო
წარმმართველო,
ცრემლს და დარდის, უხმოდ
დამთმენელო,
ჩვენი სიყვარულით კლდედ
დაფიქრულო,
ერის ჭირ-ვარამის გულით შემსმენელო.

მაინც არ გეშვება მტრული ავსული,
რა არ მოგიგონეს, რა არ დაგაბრალეს,
ისევ გამოწრთობილხარ შენზე საღმრთო
სული,
ყველას აპატიე, მაინც შეიწყალე.

უძღები შვილები გულში ჩაგვიხუტე,
მამის წიაღში შვილებად დაგვაბრუნე,
მზიანი ღამეები ნათლით შეგვიცვალე,
უკუღმა მბრუნავი, წაღმა დაატრიალე.

უცნობი ავტორი

## რამაზ ლაგვილავა



### ღმერთო გადაარჩინე

ყოვლის შემძლევ, ჩვენს მამულში
მზე სულ გამოაჩინე,
საქართველოს მიწა-წყალი
ღმერთო, გადაარჩინე.
მსუნაგი და მოღალატე
ჯოჯოხეთში დაჩრდილე,
ქართველების სამფლობელო
ღმერთო გადაარჩინე.
კეთილი და გონიერი
აცხოვრე და არჩინე,
საქართველო მარგალიტი
ღმერთო, გადაარჩინე.
თამარ მეფის საქართველო
ოქროს თვალის საჩინე,
ვარძია და მცხეთის ჯვარი
ღმერთო, გადაარჩინე.
ანტიქრისტე, დემონები
დაგმე და შეასხინე,
ქრისტეს ჯვარის მორწმუნენი
ღმერთო, გადაარჩინე.
მოპარპაშე დემონები
გააქვავე, გაყინე,
სიონი და ნიკორწმინდა
ღმერთო, გადაარჩინე.
საქართველო გვიდღეგრძელე,
ლუკმაპურით არჩინე,
სვეტიცხოვლის სამლოცველო
ღმერთო, გადაარჩინე.
დაგვილოცე საქართველო
ფიალით და ჯამით,
ჩვენთან არის ღმერთი!
ჩვენთან არის ღმერთი!
ჩვენთან არის ღმერთი!
ამინ!

### იცოცხლე მრავალჟამიერ

რამადლიანი მხარე ხარ,
რა მადლიანი ქვეყანა,
წელი ახალი გესტუმრა
ძველი კი კვლავ გაგეყარა.
ქართველთა სამფლობელო
ხარ,
შოთა რუსთველის მშობელი,
აქ იშვა დიდი თამარი
ამით ვამაყობთ ყოველი.

დედა მარიამ ღვთისმშობლის
კალთა გეფაროს მარადის,
იცოცხლე, მანამ მზე ცაზე
არ ჩაგიქრება მანამდის.
არ მოგეშალოს ლურჯ ცაზე
მზე მოგიზგიზე ნათელი,
შენით ამაყობს და ლაღობს
გულმადლიანი ქართველი.
მაშ, მოგილოცავთ ახალ წელს,
გალაღდი იმერ-ამიერ,
შენი სიცოცხლე მენახოს
ჟამიერ-მრავალჟამიერ.

## წარწყმდებით?!

მოყვასნო უწყით, რამეთუ ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის ლამის მარადიულია, მაგრამ დასრულებადი!

სანამ კაცთა მოდგმის სახელით საუკუნეების წინ იტყოდა გენიალური ქართველი შოთა: ,,ბოროტსა სძლია კეთილმან”!

ეს, როგორც ფაქტი მეტყველებს იმაზეც, რომ სანამ მისგან ემცნობოდა სამყაროს ამის შესახებ, საკმაოდ დიდი ხნის იყო ეს ბრძოლა, რომელიც თითქმის უნდა გასრულდეს კიდეც სიკეთის უპირობო გამარჯვებით და ბოროტების კაპიტულაციით!

ეს ადამიანებმა (არაადამიანებმაც მათ შორის) არ ვიცით დროის შეცნობა, უფლისთვის დროის ჩვენეული აღქმა არც არის ანგარიშ გასაწევი!

სატანური “მადლიერება” ადამიანებს რომ არც ახსოვთ იმ დროიდან იბრძვის სიკეთისა და უფლის წინააღმდეგ! მისი დასაწყისი დროში არ იცის ადამიანმა, ის კი უშეცდომოდ უწყით, რომ ამ ბრძოლა-რენის ფორმები იცვლება მხოლოდ, არაშინაარსი და მიზანი!

დედამიწის ყოველ გოჯზე თავისებურად, სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობს ეს ბრძოლა,მათ შორის ჩვენთანაც, ჯერ ნიადაგი მოგვისინჯეს, შედარებით მცირედი ლაფდასხმით გამოგვცადეს, შესაბამისი დაკვირვებაც განახორციელეს ჩვენზე, დააკვირდნენ, როგორ მოვითმენდით და ავიტანდით ამის შესაბამისად ხდებოდა შეურაცხყოფის და ლაფის შეწებების დოზების ცვლა!

დიდი ხნის უკან ვაზის აკაფვით და ეკლესიების ნგრევით ებრძოდნენ საქართველოს!!! მერე ეს ფორმები თანამედროვე საქართველოშიც გადმოიტანეს,შიდა მოძულე მტრებიც მოიძიეს ჩვენთან და სიყვარულის და სიკეთის სახელით გაჩაღებულ ნგრევას აღმშენებლობა დაარქვეს რომ დარწმუნდნენ ავიტანეთ და არ გავაპროტესტეთ, ეკლესია და პატრიარქიც შეგვიგინეს! თავგასულობა თავისუფლებააო გვითხრეს, მოვითმინეთ და დემოკრატია ღვთისა და კაცის აბუჩად აგდებააო გვითხრეს საქმით (არა სიტყვიერად)! თანამედროვე საქართველოს ლამის ერთადერთი პატიოსნება, სინდისი,სიყვარული ღვთისა და მოყვასისა, ყოვლადწმიდა დედაღვთის მშობლის მიერ, მის წილხვდომილ საქართველოში პატრიარქად ილიაII -ის დადგინება უგუნურთა შეხედულებით გადასასინჯია და შეცდომაა?!

უზენაესს და ყოვლადწმიდას რომ შეჰბედეს,მერე საერო სახის სიწმინდეებსაც შეახეს ბინძური გონება და ხელი!

შემდგომად უფლისა და მისი მიმდევრებისა, ჩვენი ერის ყველა თაობას ყველაზე საიმედო დამცველი და უცდომელი დამფარავი, ქრისტიანობას დაყრდნობილი ქართული ტრადიციებია და საყოველთაო პატივის ღირსი, უკიდეგანო ქართული კულტურა, რომელიც გამორჩეულად საიმედოდ იფარავს სიბილწისა და გარყვნილებისაგან ვიღაცეებისაგან განწირულ და შეძულებულ ქართველთა ახალ თაობებს! საერო ფორმით ჩვენი ყველა თაობის ყველაზე საიმედო მფარველია ქართული ფოლკლორი და ქორეოგრაფია!!!

თანამედროვე დუშმანს სატანის ჩაგონებით ემცნო, რომ ქუჩურ რყვნილებას ახალი თაობის ქართველთა მშობლები ქართული კულტურით არიდებენ! ბოროტების წესი და მეთოდია, გამორჩეულად კარგს ებრძოლოს და მერე ეს თაობებისთვის საიმედო ალაგი მის დასაყრდენ პლაცდარმად წარმოაჩინოს და.... აი მოაწია ჟამმა, რომ ბოროტებამ დაანახოს ქართველ მშობლებს: რომ არც ისე საიმედოა ქართული ქორეოგრაფია, მის ფრთებქვეშ საიმედოდ შეხიზნული მოზარდები თქვენ რომ გგონიათ ისე არ არიანო გარიდებული რყვნილებისაგან!!! ქართულ ქორეოგრაფიაში ვინაიდან არა მხოლოდ ცეკვა ისწავლება, ასევე წარმატებულად შეესისხლხორცება მოზარდს რაინდობა, ვაჟკაცობა, სილამაზე, სინაზე და სიკეთისადმი მოწიწება-მოკრძალება, იმით დაუპირისპირდნენ, რომ შექმნეს “შედევრი”, რომელიც “ავტორიტეტულ” ჩვენებებზე სამყაროს ამცნობენ, რომ მსოფლიოსთვის სამყოფი სიკეთის, სინაზის, რაინდობის და სიყვარულის უსაზღვრო მარაგის მქონე ქართულ ქორეოგრაფიაშიც უხვად არის მათი გაგებით თავისუფლების გამომხატველი სიბილწის ელემენტები!

ქრისტიანობის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო ალაგი-საქართველო არც თუ უსაფუძვლოდ ეყრდნობა მისი ძველისძველი კულტურის ქორეოგრაფიის ფესვებს!!!

რაც სიბილწისა და მისი მიმდევრებისთვის არის კიდეც ნიშანი, რომ დაუყონებლივ ჩააგონონ და მოუწოდონ: დროა ქართველმა მშობლებმა იფიქრონ, არც ისე საიმედოა ქართული კულტურა, თაობების დაცვა რომ მიანდოთო?!

ქართველებო, იმასაც ხედავთ, რომ ვინც ამ მტრობას არ ეპუება, რადიკალებად და ჩამორჩენილებად მოიხსენიებიან მათგან ვინც ადრე არაკაცობისთვის ისჯებოდა იმითი, რასაც ახლა განსხვავებულ აზრს და თავისუფლებას ეძახიან!!!

რას იტყვით მამულისშვილნო, ავაფრიალოთ თეთრი ბაირაღები და ტყვედ ჩავბარდეთ სიბილწეს???

ბესო დოლბაია

# ბაზარი -სავაჭრო ცენტრი, როგორც ქალაქის სავიზიტო ბარათი
## ახალი ექსკალატორი და ახალი სერვისცენტრი



ჩვენ კარგა ხანია გვაქვს ამბიცია, ფოთი ვაქციოთ ევროპული ტიპის ქალაქად, რაც დიდ ძალისხმევას, საქმის სიყვარულს მოითხოვს, ამ მიმართულებით არის გარკვეული ძვრები.

ხალხმრავლობის თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტია ბაზარი, როგორც სავაჭრო კჯომპლექსი. ჩამოსულ ადამიანებსაც გარკვეული შთაბეჭდილება აქედან ექმნებათ ქალაქზეც და ქვეყანაზეც. მოკლედ, ბაზარი ჩვენი ცხოვრების სახეა, კულტურის მაჩვენებელი. აღსანიშნავია, ისიც, რომ სწორედ დიდ ვაჭრებს უშენებიათ არქიტექტურულად გამორჩეული სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები, რითაც ქველმოქმედების კარგ მაგალითსაც იძლეოდნენ.

ალბათ, გახსოვთ 90-იანი წლების საკოლმეურნეო ბაზარი, როგორც ბოშათა ქალაქი. ეს იყო შუა საუკუნეების ანარეკლი. და როგორც კი ომი და უბედურება შეწყდა, დაიწყო მშენებლობები. მათ შორის ბაზრის. ბევრს არ სჯეროდა ამ დიდი გეგმების, მაგრამ ორსართულიანი შენობა უმოკლეს დროში ჩადგა მწყობრში ბიზნესმენისა და ქველმოქმედის, ბატონ ნოდარ კორსანტიას დიდი ძალისხმევითა და მონდომებით. ქალაქის ცენტრში ახალი რეალობის -თანამედროვე ბაზრის მოწმენი გავხდით. იყო წინააღმდეგობები წინა რეჟიმის მხრიდან, როგორც სხვა წარმატებული ბიზნესმენების მიმართ, მაგრამ ბატონმა ნოდარმა მაინც შეძლო თავის დაღწევა სახელმწიფო რეკეტისგან.

ბატონი ნოდარი ხშირად იხსენებს ფოთში ჩამოსვლის პერიოდს-როგორ კარგად მიიღეს აქ აფხაზეთიდან დევნილები. ეს მათ სტიმულს აძლევდა ქალაქისათვის შეძლებისდაგვარად კარგი საქმეები ეკეთებინათ.ფოთელებიც უფასებენ ამ შრომასა და სიკეთეს.

სულ ახლახან ბაზრის ორსართულიან შენობაში ახალი სერვისი გაიხსნა, სადაც 60 ადამიანია დასაქმებული. მომხმარებელიც კმაყოფილია, პროდუქციის მრავალფეროვნებით და ხელმისაწვდომი ფასებით. მსგავსი სამრეწველო, საყოფაცხოვრებო საქონლის სერვის-ცენტრი გაიხსნება მეორე სართულზე საახალწლოდ. ამ ორ სართულს ერთმანეთთან ესკალატორი დააკავშირებს. მსგავსი რამ პირველად გაკეთდა დასავლეთ საქართველოში. ვიხუმრეთ კიდეც, ფოთში მეტროს გაშენების ნიშანი ყოფილიყოსთქვა.

ნ. კორსანტიამ ბევრი რამ გააკეთა რიონის სანაპირო ზოლის გამწვანება-გალამაზებისათვის. იშვიათად მინახავს ასეთი ინიციატივიანი, მოუსვენარი პიროვნება. მას გული წყდება იმის გამო, რომ ფოთმა დაკარგა საზღვაო ვაგზალი, როგორც სიმბოლო საზღვაო ქალაქისა.აქ ერთ დროს დიდი საკრუიზო გემები შემოდიოდნენ, სანაპირო ინფრასტრუქტურაც მიმზიდველი იყო.

ნოდარ კორსანტიას ასევე აქვს წინადადებები რიონის სანაპიროის კეთილმოწყობისა და ნაოსნობის აღორძინებასთან დაკავშირებით, ტურისტული მიზნებისათვის გამოყენების თვალსაზრისით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი საქველმოქმედო საქმიანობა. ხშირად ეხმარება მრავალშვილიანებს, ხელმოკლე ადამიანებს, ახალგაზრდა სპორტსმენებს, მას ძალიან ახარებს ქალაქში მიმდინარე მშენებლობები. ამასწინათ მოინახულა საცურაო აუზის მშენებლები და სურსათ-სანოვაგე დაუტოვა მათ.

ჩვენც ძალიან გვახარებს, რომ ყოველ ახალ წელს აქ სიახლეებით ხვდებიან და ბაზარი მართლაც ემგვანება თანამედროვე მომსახურების ცენტრს.

კვლავაც წარმატებები ვუსურვოთ ბიზნესმენსა და ქველმოქმედს, კიდევ ბევრი საზოგადო საქმისათვის ჩაეყაროს საფუძველი.

ზ. ნარაძე

---

**გვახსოვდეს დედა ისტორია**

# ფრიქსე და ჰელე
## (იბერიული რასის შთამომავლები)



მსოფლიო კაცობრიობის ისტორიის დახლართულ გზებზე მრავალი ისტორიული მოვლენები თუ თქმულებები: ღმერთზე, სამყაროზე, სიცოცხლის წარმოშობაზე შინაარსობრივად დამახინჯებული ან, საერთოდ გაყალბებული და მიჩქმალულია. რისი ერთ-ერთი ნათელი მაგალითია, ფლიქსესა და ჰელეს წარმოშობის ისტორია.

აი, როგორ აღწერენ ძვ. ბერძენი მწერლები ფრიქსეს და ჰელეს ისტორიას: ,,ძვ. ელადის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ბეოტისის დიდსა და სახელგანთქმულ ქალაქ ორქომენეში, (აღნიშნული ქალაქის ეტიმოლოგიას ცოტა მოგვიანებით განვმარტავ). განაგებდა ქართა მეფის ეოლოსის ძე ათამანტი, რომელსაც ორი შვილი ჰყავდა, ფრიქსე და ჰელე. ღრუბელთა ქალღმერთის ნეფელეს ნაშიერნი. ათამანტმა შეიყვარა მეფე კადმოსის ვერაგი ასული ინო და ცოლად შეირთო ბოროტმა დედინაცვალმა ათამანტის შვილების თავიდან მოცილება განიზრახა და საამისოდ საშინელი მზაკვრობა ჩაიდინა. მოხალული ხორბალი დაათესინა, რასაც მოუსავლიანობა მოჰყვა. რჩევისთვის ათამანტმა დელფოს მისანთან გაგზავნა თავისი ქვეშევრდომები, მაგრამ, ისინი ინოს მოსყიდულები იყვნენ და მეფეს შეუთვალეს, რომ შვილები მსხვერპლად შეეწირათ. დედამ, ღრუბელთა ქალღმერთმა ნეფელემ ჰერმესის ნაბოძები ოქროსსაწმისიანი მფრინავი ვერძი მოუვლინა თავის შვილებს ფრიქსეს და ჰელეს, რომელმაც ზურგზე შეისვა და შორეულ აიას ქვეყნისაკენ გაემგზავრნენ. გზად ჰელე ვერძის ზურგიდან ჩამოვარდა და ზღვაში ჩავარდა.იქ სადაც დარდანელის სრუტეა. ზღვის ამ მონაკვეთს ბერძნებმა ჰელეს პონტი (ჰელეს ზღვა) უწოდეს. აქ შევჩერდები განმარტებისტვის:

1. ათამანდის მამა ეოლოსი, რომელიც არის ქართა მბრძანებელი, ხოლო ნეფელე ღრუბელთა ქალღმერთი, განასახიერებენ პირველად მისტერიების ქვეყანას პელაზგურს. ათამანტი, რომელიც ბრმა სიყვარულის მსხვერპლი გახდა, უღალატა თავის მეუღლეს ნეფელეს. შეიყვარა მეფე კადმოსის ვერაგი ასული ინო, რომელიც განასახიერებს კულტურის მკვეთრად დაბალ საფეხურზე მდგომს ძვ. საბერძნეთს. მოხდა მისი უხეში ჩარევა, მისთვის მიუწვდომელ, მაღალი კულტურის მატარებელ რასაში, როგორც უცხო სხეული, (დედინაცვალი), რამაც გამოიწვია ერთი მთლიანის რღვევის საშიშროება, რომელსაც განზრახული ჰქონდა პირველადი(პელაზგური) კულტურის, მისი მომავლის განადგურება, (რომელსაც ფრიქსე და ჰელე განასახიერებენ. მათი მოკვდინება!) ანტი პელაზგური, ინდოევროპული, (მომხვდური) ძალის მიერ, მსხვერპლად შეწირვა, მაგრამ ღირსეულმა დედამ, ქალღმერთმა ნეფელემ განარიდა თავისი შვილები საშინელ ბარბაროსთა სამსჯავროს და ჰერმესის ნაბოძები ოქროს საწმისიანი მფრინავი ვერძის დახმარებით აიას ქვეყნისაკენ გაამგზავრა. რაც შეეხება ჰერმესს, რომელიც არის საძოვრების, გზებისა და ვაჭრობის ღმერთი წარმოშობით პელაზგია. მისი ძირი, ,,ჰე” მიანიშნებს არქეტიპულ ღვთაებაზე, რომელიც მოცემულ ვითარებაში წარმოადგენს გზის მაჩვენებელს -მანათობელს აიას ქვეყნისაკენ.

2. ქალაქი ,,ორქომენე”, არაძველბერძნული ქალაქია, არამედ პელაზგური ,,ორქო-ანი”, რაც ძვ. მეგრულ-ლაზური სიტყვაა და ნიშნავს: ,,ოქრო-ანი”-ს ქალაქს, სადაც შეიქმნა პირველადი, ზეუნივერსალური ოქროს ანბანი, დღემდე მიუწვდომელი კაცთაგან, რომელიც ითვლებოდა ქურუმების ენად ღმერთთან ურთიერთობის, (ენაი ლაზური), ხოლო ქალაქი ,,ორქოანი” გახლდათ პელაზგი მეთოგრაფოსების ქალქი, დიახ, პელაზგი მითოგრაფოსები იყვნენ პირველები: მითების, ღმერთების, ქალღმერთების, ტიტანებისა და გმირების ავტორები, რომელთა სახელებმა სამწუხაროდ დღემდე ვერ მოაღწია.

3. ჰელეს, მფრინავი ვერძის ზურგიდან ჩამოვარდნა დარდანელის სრუტეში მიანიშნებს, არა ცოცხალი ადამიანის ფიზიკურ დაღუპვაზე, არამედ პირველადი კულტურის-პელაზგური სამყაროს მოკვდინებას, ინდოევროპული რასის, (ძვ. ბერძნების ექსპანსიის შედეგად,. ბერძენი მწერლები (ძალიან შერბილებულად და გადატანით) დედინაცვალი ინოს სახით გვამცნობენ, რომ დამალონ სახელმწიფოებრივი დანაშაული, სხვა ქვეყნის დაპყრობა გადაიტანეს ფიზიკური ყოფით დანაშაულზე. ჰელეს ჩავარდნა ზღვაში, იქ სადაც დარდანელის სრუტეა, პირდაპირ მიუთითებს ბოლო საზღვარს, დასასრულს, პელაზგური სამყაროსი. რომლის გეოპოლიტიკური ძლიერების არეალი დარდანელის სრუტემდე ვრცელდებოდა.

4. ფრიქსეს ჩასვლა კოლხეთში კი მყარად მიანიშნებს იმაზე, რომ ძვ. ბერძნებმა ოქროს საწმისი ხელთ ვერ იგდეს. ცნობისათვის: ხელთ, რომც ეგდოთ, ვერ შეძლებდნენ მის წაკითხვას, ვინაიდან მათთვის გაუგებარი ანბანით იყო შ სრულებული, მაგრამ ერთი რამ კარგად იცოდნენ, რომ საწმისსზე ნაუწყები იყო ინდო-ევროპელების მიერ აწმყოში და მომავალშიც ჩადენილი უსასტიკესი დანაშაულები, იბერიული ცივილიზაციის წინააღმდეგ და ყველანაირად ცდილობდნენ ჩადენილი დანაშაულის კვალის წაშლას და მის, ლიტერატურულ ჭრილში გადატანას, მაგრამ ის, რაც შეძლეს ეს არის პელაზგი მითოგრაფოსების მიერ მითების, ღმერთების, ქალღმერთებისა და სხვა მითოლოგიური გმირების მითვისება და საკუთრად გამოცხადება”.

ფრიქსემ, კოლხეთის მეფე აიეტს მიართვა ოქროს საწმისი, ამით მან ღირსეულად აღასრულა თავისი ვალი ღმერთების წინაშე, რაც აიეტის მიერ დიდად მოწონებული იქნა. მეფე აიეტმა ღმერთებს შესწირა შეასწირავი, ხოლო ოქროს საწმისი საპატიოდ მუხაზე ჩამოკიდა. მუხა განასახიერებს ძვ. მისტერიების სამყაროს უძველესს და მარადიულს, ძვ. კოლხეთს! ხოლო ოქროს საწმისი ღვთაებრივ ზეუნივერსალურ ცოდნას ეზოთერულ ბიბლიას ლაზურ ენაზე (ანბანს). კირიბზე ნაუწყებ წინასწარმეტყველებას ღმერთზე, სამყაროზე და კაცობრიობის ცხოვრებაზე, რის შესახებ სამართლიანად გვაუწყებს იოანე ზოსიმე თავის ზეუნივერსალურ ძეგლში. ,,ქებაი და დიდებაი ლაზურისა ენისაი”-ში/

აიეტმა ღირსად ცნო სამშობლოდან დევნილი ჭაბუკი ფრიქსე და შესაფერისად უფრო მაღალი სუბსტანციის მატარებელ პიროვნებად აღზარდა, რომელიც შემდგომ თავის ქალიშვილზე ქალკიოპეზე დააქორწინა, რომლებსაც ეყოლათ შვილი და მას კიტიონი დაარქვეს, რაც ძვ. ბერძნულია, რომელიც მეგრულ ლაზურიდან არის გადატრანილი და მისი სახელი არის ,,ქუათშენ”, რაც ქვიანს, ქვით ნაშენს ნიშნავს. როგორც ქრისტეს მოციქული პეტრე ნიშნავს კლდეს. ადგილიც თავისი გეოგრაფიული არეალით მიანიშნებს დღევანდელ ქუთაისს, რომელიც ქვიანია.

რაც შეხება ქალკიოპეს, აქაც ძვ. ბერძნული ასოთა წყობით არის შეცვლილი და მას ქვია არა ქალკიოპე, არამედ ,,ქალდ -იოპე” ,,ქალდრაც კოლხს ნიშნავს, ხოლო ძალიან მაღალი ალბათობით, იოპე”ც ძვ. მეგრულ -ლაზურად ,,იონს” უკავშირდება. რაც საერთო ანსამბლში კრავს არსებული სახელის მნიშვნელობას და მის ეტიმოლოგიას, (წარმოშობას) ,,ქალდ-იონს”-საუბარია კოლხ ქალზე, რომელიც ფრიქსემ ცოლად წაიყვანა(კოლხი წაიყვანა).

და ბოლოს: არსებული ნაშრომის გასამყარებლად, რომ ფრიქსე და ჰელე იბერიული რასის შთამომავლები არიან, მოვიყვან აწ განსვენებული, უდიდესი მეცნიერისა და თანამედროვე განათლების ბეწყინვალე რეფოემატორის, ქალბატონ ნუკრი ცერცვაძის გენიალური წიგნიდან ციტატას ,,მომავლის ინსტიტუტი”, სადაც სრულყოფილად გადმოცემულია მითიური ღმერთების გენეალოგია, სადაც ფრიქსე და ჰელე მოხსენიებულნი არიან პრომეთეს შვილთაშვილებად. პრომეთე პროტიბერიული სამყაროს წარმომადგენელია, ის არის იაპეტოსის ძე, რომელიც განასახიერებს წინასწარმეტყველურ აზროვნებას, ,,ეთნოლოგიური ასპექტით პრომეთე არის სიმბოლო, იმ მოდგმისა, იმ ხალხისა, რომელმაც უნდა განავითაროს მისტერიათა კულტურა”-ზვ. გამსახურდია.

ვფიქრობ უდაოა ფრიქსესა და ჰელეს წარმოშობის ისტორია, რომ ისინი იბერიული, (პელაზგური) რასის შთამომავლები არიან, რის შესახებ ასე საგულდაგულოდ მალავდნენ ძვ. ბერძენი მწერლები, რომლებიც მაღალი ლიტერატურული ფორმაციით ჩქმალავდნენ ისტორიულ ფაქტს, რაც მათ მიერ დაყვანილ იქნა ჩვეულებრივ ადამიანთა ყოფით ცხოვრებაზე ანუ მკითხველისთვის საინტერესო ზღაპრად. მაგრამ არა არს დაფარული, რომ არ გაცხადდეს!

აი, ასეთი გახლავთ ძვირფასო მეგობრებო ათასწლეულების მანძილზე ნაცარმიყრილი ფრიქსესა და ჰელეს ისტორია, რომელიც უკავშირდება პელაზგურ სამყაროს, სამყაროს პირველადი კულტურის, იბერიული ცივილიზაციისას, რომელმაც იხილა მზის შუქი, რომელსაც დაცვა და აღორძინება სჭირდება, საითკენაც უნდა მოვმართოთ მთელი ჩვენი ენერგია და ცოდნა. ამ იმედით გემშვიდობებით...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

პატივისცემით
ნიკოლოზ იბერი
22.11.2019წ
ფოთი

სპორტი...სპორტი... სპორტი...სპორტი... სპორტი...სპორტი... სპორტი...

# გაიმართა ჯემალ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი X საჭადრაკო ფესტივალის



15 დეკემბერს გაიმართა ჯემალ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ფესტივალის ბოლო
დია ტურნირი ელვისებურ ჭადრაკში.

ტურნირში მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოჭადრაკეები. მათ შორის საერთაშორისო დიდოსტატები და ოსტატები.

ტურნირის საპრიზო ფონდი შრადგენდა 2000 ლარს.

ფესტივალის გენერალური სპონსორი წელსაც ტრადიციულად იყო ფირმა ,,კავტრექს ფოთი“ ,ორგანიზაცია ,რომლსაც წლების მანძილზე ჯემალ თოფურია ხელმძღვანელობდა. გამარჯვებული მოჭადრაკეები თასებით,მედლებით,სიგელებითა და ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ

ტექნიკური შედეგები:

I ადგილი - გიგა ყუფარაძე;

IIადგილი - ზვიად ფაცია;

III ადგილი - გაიოზ ნიგალიძე.

ქალთა შორის I ადგილი - ელენე წოწონავ დაიკავა.

ჯემალ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი მე-10 საჭადრაკო ფესტივალი საზეიმო ვითარებაში დაიხურა. ფესტივალის დახურვის ცერემონიალს ჯემალ თოფურიას ოჯახის წევრები, მეგობრები, მოჭადრაკეები და მათი გულშემატკივრები ესწრებოდნენ.ფესტივალი 3-დან 15 დეკემბრის ჩათვლით საჭადრაკო კლუბ ,,ნანა“- ში მიმდინარეობდა, რომლის ფარგლებში 5 სხვადასხვა ტურნირი გაიმართა. მასში 400-მდე მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ დასკვნით ბლიც-ტურნირში მონაწილეობდნენ საქართველოს მოქმედი ჩემპიონი გუგა ყუფარაძე. ასევე საქართველოს მოქმედი და ექსჩემპიონები და პრიზიორები სხვადასხვა ასაკში, საერთაშორისო დიდოსტატები, საერთაშორისო ოსტატები და ფიდეს ოსტატები.

## პიროვნება დროში

# შესაშური სიტყვა -ალალად თქმული



არიან ადამიანები, რომლებიც სიცოცხლის შემდეგ უკვდავებაში გადასახლდებიან და მრავალ ადამიანთა მეხსიერებაში განაგრძობენ სიცოცხლეს, თითქოსდა აქ არაფერი მომხდარაო. ხომ არიან ახლობლები დიდი მანძილით ერთმანეთს დაშორებილი, დიდხანს ვერ ნახულობენ ერთმანეთს, ვერ ურთიერთობენ ერთმანეთთან, მაგრამ ახსოვთ ერთმანეთი და ეიმედებათ ერთმანეთის. გარდაცვალების შემთხვევაში კი, აი იმ იმედის გარდა, კარგი ადამიანი ისევე გახსოვს,ისევე იხსენიებ,გონებაში ისეა ჩაჭედილი მისგან მიღებული სიკეთე, თვალწინ გიდგას დაუვიწყარი ურთიერთობები,ვითარცა უკვდავი კინო კადრები ცნობილი ფილმებიდან.

ფოთელებს ბევრი გვყავს, ასე საგოგმანები, პატივის შარავანდედით მოსი ადამიანები, ვინც ღირსეულთა კოჰორტაშია მირონცხებული.

ერთ-ერთ მათგანს,ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს,ჭეშმარიტ მამულიშვილსა და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ ლუარსაბ ქავთარაძეს მიმდინარე წლის აგვისტოში შეუსრულდა 100 წელი. წლების განმავლობაში, იმყოფებოდა რა ჯანმრთელობის დაცვის სტრუქტურების მაღალ თანამდებობებზე, ექიმმა ლუარსაბ ქავთარაძემ გამოავლინა დიდი ორგანიზატორული ნიჭი, უდიდესი პასუხისმგებლობა და თავდადება, გაიღო დაუშრეტელი ენერგია ექიმთა პროფესიული კადრების აღზრდა -ჩამოყალიბებისა და ადამინთა ჯანმრთელობის უკეთ მოწყობის საქმეში.

ლუარსაბ ქავთარაძე დაიბადა ქ. ფოთში 1919 წელს. მშობლები ქალაქში ცნობილი ადამიანები იყვნენ. მამა, სერგი წლების განმავლობაში მუსაობდა საბაჟოში უფროსის მოადგილედ, ხოლო დედა, ნინო წულაია, იყო რუსული ენისა და ლიტერატურის ცნობილი მასწავლებელი, რომელიც დაჯილდოებული იყო ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი-ლენინის ორდენით.

ლუარსაბმა ფოთში დაამთავრა ვაჟთა პირველი საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, მაგრამ მისი დამტავრება ვერ მოასწრო, ისე გაიწვიეს მე-5 კურსიდან დიდ სამამულო ომში. აქ ის მსახურობდა ექიმ-ორდინატორად მოქმედ არმიაში, რომელიც იბრძოდა ქერჩში. ქერჩი ისტორიაში ცნობილია, როგორც ქართველ მეომართა სასაკლაოდ, ცოტა თუ ვინმე გადაურჩა აქაურ ბატალიებს, მაგრამ ლუარსაბ ექიმი იღბლიანი აღმოჩნდა, მისთვის ომი 1946 წელს შორეულ აღმოსავლეთში დამთავრდა, ომში გამოჩენილ მის ვაჟკაცობაზე სახიფათო საბრძოლო ოპერაციებში თავდადებაზე და გამოჩენილ სიმამაცეზე მოწმობენ ორი საბრძოლო ორდენი და მრავალი მედალი. ომის მისმა თანამონაწილეებმა მემოარულ ლიტერატურაში გაამჟღავნმეს ლუარსაბის სიმამაცის პერიპეტიები, თორემ მას ამის შესახებ არასდროს არაფერი დასცდენია.

უკვე ომის შემდეგ, 1947 წელს, ლუარსაბ ქავთარაძემ ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები, მიიღო ექიმის კვალიფიკაცია და დაინიშნა სურამის სანატორიუმის თერაპიული განყოფილების გამგის თანამდებობაზე. ორიოდე წლის შემდეგ ის გადაყავთ გაგრის სანატორიუმ ,,ჩელუსკინელების” მთავარ ექიმად, მერე კი ბორჯომ-ლიკანის სანატორიუმის მთავარ ექიმად. 1954 წლიდან 6 წლის განმავლობაში ლუარსაბი თბილისის მე-4 სამმართველოს უფროსად მუსაობდა, სადაც მკურნალობას გადიოდნენ საქართველოს სამთავრობო სტრუქტურების თანამშრომლები.

1960 წელს ლუარსაბ ქავთარაძე რესპუბლიკური, ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს უფროს ექიმად გადაყავთ. 7 წლის შემდეგ კი ის ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილეა. აქ ის უამრავი საქმის პარალელურად რესპუბლიკური საავადმყოფოს ახალი კორპუსის მშენებლობასაც კურირებდა. აღიარებული ფაქტია, რომ ამ საავადმყოფოს ყველა განყოფილება და სამედიცინო ლაბორატოირიები უშუალოდ მისი ზედამხედველობით აღიჭურვა და დაკომპლექტდა.

7 წელი დაჰყო ლუარსაბმა სამინისტროში და როდესაც ახალი საავადმყოფო იხსნებოდა, ის, მისივე თხოვნით ამ საავადმყოფოს მთავარ ექიმად დაინიშნა. ექიმი ლუარსაბ ქავთარაძე მართლაც სანატრელი ხელმძღვანელი იყო. ყურადღებიანი, კეთილმოსურნე, იტყოდი შაქარი ამოსდის პირიდანო, თუმცა, როგორც მთავარი ექიმი იყო მკაცრიც, მომთხოვნიც და რაც მთავარია ყოველთვის სამართლიანი.

თავად სამეცნიერო საქმიანობას არ ეწეოდა, მაგრამ შესანიშნავად ეხერხებოდა სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა, ნაშრომების რედაქტირება, ხელმძღვანელობდა რესპუბლიკური საავადმყოფოს სამეცნიერო საბჭოს და სამეცნიერო კრებულების გამომცემლობას, ბეჭდავდა ორგანიზაციული სახის სტატიებს. ლუარსაბი არ იყო, კაბინეტის კაცი, მთელი დღე ფუსფუსებდა, ავადმყოფებს ამხნევებდა, იმედს უსახავდა, ეხმარებოდა, ცხოვრებას უხალისებდა. საავადმყოფოში ბიბლიოთეკაც მოაწყო, მართავდა კონცერტებს, კინოსეანსებს, შეხვედრებს ცნობილ ადამიანებთან. სულ სიახლეების ძიებაში იყო და რაც მოეწონებოდა თავისთან გადაჰქონდა და ნერგავდა. მისი მოღვაწეობის პერიოდში მედიცინაში არ ყოფილა დიდი თუ პატარა საქმე, სადაც მას თავისი პირადი და გამორჩეული წვლილი არ შეეტანოს.

ექიმებსაც და ავადმყოფებსაც მისი სჯეროდათ, მისი იმედი ჰქონდათ.

თქმა რათ უნდა, ლუარსაბი განსაკუთრებით წყალობდა ფოთელებს, არაერთი ფოთელი სპეციალისტისთვის ხელი შეუწყვია, დაუკვალიანებია, ყველანაირად დახმარებია.

ფოთელი ავადმყოფებიც იმედით მიემართებოდნენ თბილისში სამკურნალოდ, იქ ლუარსაბ ქავთარაძე ეგულებოდათ-ყოვლის შემძლე და ყველას მშველელი, ისიც ამართლებდა ამ იმედებს. შეიძლება კი ენით გამოხატოს კაცმა ის სიხარული და ბედნიერება, რაც ექიმმა და მკურნალმა ლუარსაბ ქავთარაძემ ათასობით გადარჩენილ ადამიანს განაცდევინა? არა, ამ მადლიერების გამოხატვა სიტყვით არ შეიძლება. ის პირადად უნდა განიცადო.

ჩვენს ქალაქში მალტაყვაში აშენებული საავადმყოფოს 4 სართულიანი შენოიბა და ქალაქის პირველი პოლიკლინიკის შენობები - ეს ხომ ბატონი ლუარსაბის ძალისხმევის შედეგია.

დიახ, ლუარსაბი სულით და გულით ფოთელი იყო და რა თქმა უნდა დამოკიდებულება ფოთსა და ფოთელებთან განსაკუთრებული ექნებოდა. თუმც ეს ისედაც არ უნდა იყოს გასაკვირი, ვიანიდან მისი ოჯახის ყოველი წევრი და განსაკუთრებით დედა ნინა ,,ნინა პეტროვნა” და და მედეა, ქალქში უდიდესი სიყვარულით სარგებლობდნენ. ლუარსაბიც ერთი წუთით არ ივიწყებდა სადაური იყო და სიამაყით ივსებოდა თუ რამე კარგს გაიგებდა ფოთსა და ფოთელებზე. ის ქალაქსაც ხშირად სტუმრობდა, დაბადების დღეებს ყოველწლიურად მხოლოდ ფოთში იხდიდა ოჯახის წევრებსა და სამეგობრო წრეში.

ლუარსაბ ქავთარაძე იმითაც რჩეული იყო, რომ მეუღლესთან თინათინ ანთაძესთან ერთად შექმნა ქართული ოჯახი და ქვეყანას აღუზარდა სახელოვანი შვილები და შვილიშვილები.

ასეთია მოკლე ბიოგრაფია ადამიანისა, ვინც ცხოვრების ქარცეცხლში გამოიარა, ცხოვრებაში გამოავლინა ვაჟკაცური ბუნების უკეთილშობილესი თვისებები, შეუბღალავად ატარა სახელოვანი წინაპრებისა და მშობლების სახელი, იყო ნაღდი ფოთელი ,ჩვენი ქალაქის საამაყო და სამაგალითო შვილი.

ლუარსაბ ქავთარაძე გარდაიცვალა 35 წლის წინათ 65 წლის ასაკში, თუმცა მას დღესაც დიდი სიყვარულით და პატივით იხსენებენ.

არდავიწყება კარგი მოყმისა ყოველი ჩვენთაგანის ვალია.

ომარ ხუხუნი

# ვახტანგ ლაშქარავას არდავიწყებას!



„ძმაო გაშალე მარჯვენა, შენი სიკვდილის არ გვჯერა!“

ქართველი კაცის ლამაზად ნათქვამი სიტყვებით მოგმართავთ შენი მეგობრები , ჩვენო ძმაო, ვახტანგ!

თითქოს გუშინ იყო და უკვე ერთი წელი გასულა შენი ზეცად ამაღლების დღიდან! ყველამ ვიცოდით თუ როგორი სულის სიმტკიცით და შეუპოვრობით ებრძოდი ულმობელ სენს, რომლის დამარცხებაც ვაგლახ რომ ვერ შესძელი ლომგულა კოლხმა ვაჟკაცმა!

შენს მშობლიურ ქალაქს აკლიხარ ჩვენო ვახო, შენს სათაყვანებელ საქართველოს აკლიხარ, შენს დიდ სამეგობროს აკლიხარ , ვის წინაშეც შენი კაცური მამულიშვილური და ძმური ვალი ღირსეულად გაქვს მოხდილი!

ყოველი განსაცდელისას, ასე ჯერად რომ უდგას საქართველოსაც და ფაზის-ქალაქსაც, შენი მგზნებარე სიტყვები გვაკლია, მძიმე და ტრაგიზმით აღსავსე ჟამს თვალცრემლიანმა რომ წარმოთქვი გულ-ქალაქში ნიკოლაძის კოშკის წინ, შენი გულის სიღრმიდან აღმოთქმული სიტყვები - ერთად დავდგეთ ჩემო ქართველებო - და თავი დაამსახსოვრე მტერსაც და მოყვარესაც , თუმცა მტრობას შენთან რა ხელი აქვს - შენ ხომ სულით-ხორცამდე სიყვარულს აცისკროვნებდი, ჩვენო ძმაო!

იძინე მშვიდად , ჩვენო ვახტანგ!

მსუბუქი იყოს შენთვის შენი ფაზის-ქალაქის მიწა!

შენს სახელს ჩვენს გულებში დავიწყება არ უწერია!

შენი მეგობრები

*მედიკო და ვანო ნარმანიები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ლალი და თინიკო დარჩიებს მეუღლისა და მამის გარდაცვალების გამო.*


მხატვრული ხედვა, ახალი დიზაინი



*თუ გინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარე ხედი, ინტერიერი გაალამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს.*

*თქვენს დაკვეთას შეასრულებს მხატვარ-დიზაინერი რევაზ ჭანტურია.*

*ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)*

**განცხადება:**

**იყიდება ორსართულიანი კაპიტალური სახლი ქალაქის ცენტრში, განაშენიანებული ეზოთი.**

**მის:იერუსალიმის №4**

**ტელ: 551 499 555**



რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში“

E-mail: k.khobalia@gmail.com

რედაქტორი ზ. აბრალავა